ბიბლიოთეკა

№ 48
(11 197)
20 – 23 ივნისი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# ესპანეთი – პარაგვაი 0-0
# ნიგერია – ბულგარეთი 1-0

| | | |
|---|---|---|
| 20.06 | იაპონია-ხორვატია | (16.30) |
| 20.06 | ბელგია-მექსიკა | (19.30) |
| 20.06 | ჰოლანდია-სამხ. კორეა | (23.00) |
| 21.06 | გერმანია – იუგოსლავია | (16.30) |
| 21.06 | არგენტინა – იამაიკა | (19.30) |
| 21.06 | აშშ-ირანი | (23.00) |
| 22.06 | კოლუმბია – ტუნისი | (19.30) |
| 22.06 | რუმინეთი – ინგლისი | (23.00) |
| 23.06 | იტალია – ავსტრია | (18.00) |
| 23.06 | ჩილე – კამერუნი | (18.00) |
| 23.06 | ბრაზილია – ნორვეგია | (23.00) |
| 23.06 | შოტლანდია – მაროკო | (23.00) |

**ჯგუფებში ბოლო მატჩების შედეგების მიუხედავად, მერვედფინალში თამაშის უფლება უკვე მოიპოვეს ბრაზილიის, საფრანგეთისა და ნიგერიის ნაკრებმა გუნდებმა.**

## მარჯი საქართველოს!

## მედლები, მერე რამდენი...



კიდევ ერთი დიდი სპორტული ასპარეზობა მოითავეს ჩვენმა საამაყო მკლავჭიდელებმა და კიდევ ერთხელ მოგვიტანეს დიდი სიხარული — ევროპის ჩემპიონატში 24 ქვეყნის ყველაზე მკლავმაგარ სპორტსმენებთან ჭიდილში ჩვენმა ბიჭებმა 14 მედალი დაიმსახურეს, აქედან ოქროსი — 6, ვერცხლისა — 6 და ბრინჯაოსი — 2. გუნდი დააფინანსა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა და მიღწეულმა შედეგებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის აუცილებლობა. ჩემპიონატი გაიმართა ლიტვის ქალაქ ფალანგაში. ყველაზე პრესტიჟულ მძიმე წონაში, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ხელით ჭიდილში ოქროს 2 მედალი მოიპოვა ვახტანგ ჯავახაძემ. ეს ის წონაა, სადაც ადრე ზაურ ცხადაძე ბრწყინავდა. ასევე ავტორიტეტულ, 110 კგ წონაში, იგივე პროგრამით, 2 „ოქრო“ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონმა ერეკლე გუჩიანმა. ამ პრესტიჟულ წონაში ორივე ხელით ასპარეზობაში რომელიმე გუნდს 4 ოქროს მედალი მიეღოს, ჯერ არ მომხდარა, ეს პატივი ჩვენებს ხვდათ წილად. უძლიერესი იყო აგრეთვე მარცხენათი როინ ნოზაძე (70 კგ) და მარჯვენათი ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ლიპარტაშვილი (50). მეორე ადგილზე გავიდა ნაკრების ახალბედა წევრი კოტე რაზმაძე (80), რომელმაც ორივე ხელით ასპარეზობაში დაიმსახურა ვერცხლის მედალი; ასეთივე წარმატება ხვდა (მარჯვენათი) ვეფხვია სამხარაძეს (75), თამაზ ჩუტკერაშვილს (70), დავით ჭელიძეს (110) და გურამ გიგოლაშვილს (55), მესამე იყო ლიპარტაშვილი (მარცხენათი) და ნოზაძე (მარჯვენათი). სინიორებში 100 კგ-მდე წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა სოსო ჯაჭვლიანი.

— ჩვენს ნაკრებს მთელ მსოფლიოში იცნობენ და მსაჯები ყველგან ცდილობენ შეგვავიწროვონ. ამჯერად მათი ზღვარგადასული თვითნებობა ჩვენს წინააღმდეგ ნამდვილ შეთქმულებას ჰგავდა — გვითხრა ასპარეზობიდან დაბრუნების შემდეგ დელეგაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ მუსელიანმა.

### მილოცვა

საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 85 წლისთავს ულოცავს ვეტერან მოფარიკავეს *ოთარ დიდებულიძეს.*

### ყურადღება!

ორგანიზაციული საკითხების გათვალისწინებით, საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, სეოკ-მა მიიღო გადაწყვეტილება ეს ღონისძიება, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 21 ივნისისა, ჩაატაროს შაბათს, 27 ივნისს. მარშრუტი უცვლელია:

*1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია — თავისუფლების მოედანი* (მოზრდილებისთვის);

*2. რუსთაველის მოედანი — თავისუფლების მოედანი* (12 წლის ასაკის ჩათვლით, აგრეთვე ინვალიდებისა და ოჯახებისათვის).

გარბენში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარ განაცხადი უნდა წარადგინონ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დ. აღმაშენებლის, 65) 26 ივნისამდე.

სენტ-ეტიენი. „ჟოფრუა“. 36 000 მაყურებელი

*ესპანეთი:* სუბისარეტა, ალკორტა, აბელარდო (სელადესი, 56), იერო, სერხი, აგილერა, ამორი, ენრიკე, რაული (კიკო, 66), პიცი (მორიენტესი, 53), ეჩებერია.

*პარაგვაი:* ჩილავერტი, არსე, გამარა, აიალა, როხასი (რამირესი, 83), სარაბია, კანისა, კამპოსი (პარედესი, 46), აკუნია (ეგროსი, 74), ბენიტესი, ენსისო.

*გააფრთხილეს:* სერხი, აიალა, არსე, კიკო.

*მსაჯი:* მაკლეონი

***1-15 წთ.*** დიდად მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ორივე გუნდი მოედნის ცენტრში ცდილობდა მოეპოვებინა უპირატესობა. შედარებით მწვავედ პარაგვაი უტევდა — ჯერ აიალამ მოუგო ყველას მაღალი ბურთი ესპანელთა კართან ჩამოწოდებული კუთხურისას, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა; შემდეგ კამპოსმა და ბენიტესმა ფლანგებიდან შეაწუხეს ხავიერ კლემენტეს ბიჭები; ერთხელ ბენიტესმა დაარტყა ჯარიმა უძლიერესად დაახლოებით 30 მეტრიდან, რომელსაც სუბისარეტა აუღელვებლად დაუხვდა.

***16-30 წთ.*** ესპანელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა და მალე აშკარაც გახდა. პიციმ 6-7 მეტრიდან ისეთი მძლავრი თავური შეასრულა, ჩილავერტმა ვაი-ვაგლახით მოიგერია კუთხურზე. ფლანგებზე გააქტიურდნენ სერხი და აგილერა. თავდამსხმელების უკან მოთამაშე რაული კი ნიგერიელებთან მატჩის მსგავსად კვლავ ინერტული გახლდათ.

***31-45 წთ.*** პარაგვაი დაცვაში ჩადგა, მეტოქე კი რატომღაც არადინამიურად უტევდა, ტემპს ვერ უმატებდა. სიმწვავეს პარაგვაელთა საჯარიმოში პიცი ქმნიდა, ერთხელ რაული შესანიშნავ დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ



*ჩილავერტმა მეორე მატჩშიც „მშრალად“ შეინარჩუნა პარაგვაელთა კარი*

სამეფო კლუბის ნაქებმა თინეიჯერმა ვერ შეიშნო. კარგი შესაძლებლობები მიეცათ როხასს, შტატიან პენალტისტსა და ჯარიმების დამრტყმელს ჩილავერტს, ისევ როხასს, მაგრამ... ესპანელები ტაიმის ბოლო წუთებზეღა გამოფხიზლდნენ — ეჩებერიას პასი რაულმა კარგად დაამუშავა, 5-6 მეტრიდან დაარტყა კიდეც და ჩილავერტმა „მკვდარი ბურთისაგან“ იხსნა კარი.



*ვიქტორ იკპებას ამ იღბლიანმა დარტყმამ ნიგერიას გამარჯვება მოუტანა* *(იხ. მე-2 გვ.)*

***46-60 წთ.*** მეორე ტაიმის დებიუტიც პარაგვაელებისა იყო — ბენეტესმა მარჯვენა ფლანგზე იყოჩაღა, რამდენიმე ესპანელ მცველს თავგზა აუბნია, მაგრამ მახვილი კუთხიდან სუბისარეტას ძლევა ველარ შესძლო. ესპანელებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ სათამაშო თუ ტერიტორიული უპირატესობის დასაბრუნებლად... ეჩებერიამ მარჯვენა ფლანგიდან ისე გადაიტანა ბურთი საპირისპიროზე, რომ ლუის ენრიკეს ცაციაზე დაასვა, მაგრამ კვლავ ჩილავერტმა იმარჯვა.

***61-75 წთ.*** ესპანელები ერთფეროვნად უტევენ... პარაგვაელებმა კი სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს — აკუნიამ ზუსტი პასი გაუჭრა ბენიტესს, რომლის მარცხენა ფრთიდან ზედ ესპანელთა საჯარიმო კუთხიდან შესრულებული „ხმელი ფოთოლი“ სუბისარეტამ გაჭირვებით უვნებელჰყო. ესპანელებმა ლუის ენრიკეს თავურით უპასუხეს, რომელმაც ამჯერად კიკოს ჩაწოდებული ვერ შეიშნო — ჩილავერტი შეუვალი აღმოჩნდა.

***76 -90 წთ.*** ხავიერ კლემენტეს შეცვლებმა არ გაამართლა. პარაგვაელების მობილური დაცვა გასაქანს არავის აძლევდა... სამხრეთამერიკელების კონტრიერიშები ესპანელთა გამუდმებულ, მაგრამ უნიათო შეტევებზე უფრო მწვავედ გამოიყურებოდა... საბოლოოდ, „ბარსას“, „რეალის“, „ატლეტიკოს“ თუ „ბილბაოს“ ძვირადღირებულმა და რჩეულმა ბიჭებმა კიდევ ერთხელ შეირცხვინეს თავი.

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | | 2–1 | 3–0 | | | |
| 2. | შოტლანდია | 1–2 | | | 1–1 | | |
| 3. | მაროკო | 0–3 | | | 2–2 | | |
| 4. | ნორვეგია | | 1–1 | 2–2 | | | |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | | 2–2 | 3–0 | | | |
| 2. | ჩილე | 2–2 | | | 1–1 | | |
| 3. | კამერუნი | 0–3 | | | 1–1 | | |
| 4. | ავსტრია | | 1–1 | 1–1 | | | |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | | 3–0 | 4–0 | | | |
| 2. | სამხ. აფრიკა | 0–3 | | | 1–1 | | |
| 3. | საუდ. არაბეთი | 0–4 | | | 0–1 | | |
| 4. | დანია | | 1–1 | 1–0 | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | | 2–3 | 0–0 | | | |
| 2. | ნიგერია | 3–2 | | | | | |
| 3. | პარაგვაი | 0–0 | | | 0–0 | | |
| 4. | ბულგარეთი | | 0–1 | 0–0 | | | |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | პოლანდია | | 0–0 | | | | |
| 2. | ბელგია | 0–0 | | | | | |
| 3. | სამხ. კორეა | | | | 1–3 | | |
| 4. | მექსიკა | | | 3–1 | | | |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | გერმანია | | 2–0 | | | | |
| 2. | აშშ | 0–2 | | | | | |
| 3. | იუგოსლავია | | | | 1–0 | | |
| 4. | ირანი | | | 0–1 | | | |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რუმინეთი | | 1–0 | | | | |
| 2. | კოლუმბია | 0–1 | | | | | |
| 3. | ინგლისი | | | | 2–0 | | |
| 4. | ტუნისი | | | 0–2 | | | |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | არგენტინა | | 1–0 | | | | |
| 2. | იაპონია | 0–1 | | | | | |
| 3. | იამაიკა | | | | 1–3 | | |
| 4. | ხორვატია | | | 3–1 | | | |

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE

**მატჩი №23. პარიზი „პარკ დე პრენსის“ სტადიონი. 49.000 მაყურებელი**

**ნიგერია — ბულგარეთი 1-0 (0-0)**

*ნიგერია:* რუფაი, ბაბიარო, ოკეჩუკვუ, ვესტი, ოლისე, ფინიდი (ბაბანგიდა 86), ადეპოჟუ, ოკოჩა, ლავალი, ამოკაჩი (კანუ 67), იკპება (იეკინი 70)

*ბულგარეთი:* ზდრავკოვი, კაშიშევი, ივანოვი, პეტკოვი, იანკოვი (ბაჩევი 87), კოსტადინოვი, სტოიჩკოვი, ბალაკოვი, ილიევი (პენევი 68), გინჩევი, ხრისტოვი (ბორიმიროვი 46)

*გოლი:* 1-0 იკპება (27)

*გააფრთხილეს:* ოკეჩუკვუ, ადეპოჟუ, კაშიშევი, ილიევი, ოკოჩა, იკპება

*მსაჯი:* მარიო სანჩეს იანტენი (ჩილე)

ამ ჯგუფში, რომელიც „სიკვდილის ჯგუფად“ არის მონათლული, დაძაბული სიტუაცია სუფევდა და მერვედფინალის საგზურის მფლობელის გამოსავლენად, ამ მატჩსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეტოქეები მსოფლიო ჩემპიონატზე მეორედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ოთხი წლის წინაც ორივე ერთ ჯგუფში იყო გათესილი, მაშინ აფრიკელებმა, მიუხედავად ბულგარელთა უპირატესობისა, 3-0 გაიმარჯვეს. წინა მონდიალიდან ამჯერად ორივე ნაკრებში 6-6 ფეხბურთელი ირიცხებოდა. ბულგარელები რევანშის წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე, სხვა შემთხვევაში მერვედფინალში მათი გასვლა სათუო გახდებოდა. პირველ შეხვედრისგან განსხვავებით, ორივე გუნდში მოხდა კარდინალური ცვლილებები. კერძოდ: ბულგარელთა თავდასხმის ხაზში ლუბო პენევის ნაცვლად, მთავარმა მწვრთნელმა ხრისტო ბონევმა ემილ კოსტადინოვი დააყენა. დიდი დანაკლისი იყო, ანატოლი ნანკოვის არყოფნაც, რომელმაც პარაგვაელების წინააღმდეგ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და ავტომატურად გამოტოვა ეს შეხვედრა. ნიგერიელთა რიგებში, წინა მატჩისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა. ოკპარას ნაცვლად ყველასათვის ცნობილი, თურქეთის „ბეშიქთაშის“ თავდამსხმელი — დანიელ ამოკაჩი ვიხილეთ მოედანზე. თუმცა მას მუხლის მცირე ტრავმა აწუხებდა, მაინც მოწოდების სიმაღლეზე თამაშობდა. საწყისი 15 წუთი აფრიკელთა უპირატესობით წარიმართა. პირველი სახიფათო მომენტი მეხუთე წუთზე ნახევარმცველ — ფინიდის ჰქონდა, რომელმაც ერთი მცველი ჩამოიცილა და უძლიერესად დაარტყა ოციოდე მეტრიდან, მაგრამ 27 წლის ბულგარელთა გოლკიპერმა — ზდრავკო ზდრავკომ კუთხურზე მოიგერია ბურთი. ეს კუთხურიც სახიფათოდ შეასრულა გარბა ლავალმა და ტარიბო ვესტის თავური, მცირე მანძილით ასცდა კარს. ბულგარელები, რომელთა შემადგენლობაში ასაკოვანი ფეხბურთელები სჭარბობენ, ცდილობდნენ შეხვედრის ტემპის დაგდებას და ძირითადად კონტრშეტევებით მოქმედებდნენ. მაგრამ ერთი შეიძლება ითქვას: სლავებმა ამ ბირთვით „თავისი დრო მოჭამეს“, აშკარად ველარ აჩვენებენ იმ გააზრებულ, სანახაობრივად ლამაზ ფეხბურთს, როგორც ოთხი წლის წინ.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ფიფამ მკაცრად გააფრთხილა მსაჯები, ახალი წესების მიხედვით გაატარონ დამსჯელი ღონისძიებები, (პირველ წრეში მათი მხრიდან აშკარა ლმობიერება იგრძნობოდა), უკვე მეორე წრეში არბიტრები მკაცრად სჯიდნენ და ოთხი ფეხბურთელიც გააძევეს.

ამ მატჩის დებიუტშივე შეიმჩნეოდა, რომ მეტოქეები უხეშ თამაშს არ მიმართავდნენ. პირველი ჯარიმა მხოლოდ მე-14 წუთზე დაფიქსირდა, რაც ერთგვარი მოულოდნელობაც იყო. შემდეგ მატჩი, თუმცა უხეშად არა, ხისტად წარიმართა და ყვითელმა ბარათმაც ექვსჯერ გაიელვა. გადიოდა დრო და აფრიკელთა უპირატესობა, ყველა კომპონენტში მკვეთრად შეინიშნებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ პლეიმეიქერი, ჯეი-ჯეი ოკოჩა და ვიქტორ იკპება, რომელმაც სამსვლიანი კომბინაციის შედეგად ის ერთადერთი გოლი გაიტანა, ამ შეხვედრაში, რომ ვიხილეთ. იმავე იკპებას, პირველი ნახევრის მიწურულსაც ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე დააკლდა. შესვენების შემდეგ ევროპელმა ფეხბურთელებმა პირველი ხუთი წუთი შეტევაში გალიეს, მაგრამ უშედეგოდ. ზუსტად მოქმედებდნენ მოწინააღმდეგე გუნდის მცველები. მართალია ტერიტორიული უპირატესობა გარდამავალი იყო, ნიგერიელებმა საგოლე მომენტების ნიაღვარი დაატეხეს მეტოქეს. კვლავ ოკოჩა აქტიურობდა, მის ბრწყინვალე რეიდებს და ზუსტ პასებს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. შეცვლაზე შემოსულ იეკინისაც ჰქონდა რეალური საგოლე მომენტი, მაგრამ „ხარმა“, როგორც მას ფიზიკური კონდიციების გამო ეძახიან (186 სმ, 104 კგ), ახლო მანძილიდან კარს ააცილა. შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ბულგარელებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და ბალაკოვს ერთადერთი და უკანასკნელი შანსი მიეცა, ეხსნა თავისიანები — 86 წუთზე მარცხენა ფრთიდან შეიჭრა, ოკეჩუკვუ ჩამოიცილა და უძლიერესად დაარტყა, რუფაისაგან შორეულ კუთხეში.

**მატჩის შემდეგ**

**ბორა მილუტინოვიჩი:** „უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ გუნდმა პროგრამა-მინიმუმი შეასრულა და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ბიჭების პროფესიონალიზმი თანდათან მატულობს და ეს მაფიქრებინებს, რომ ჩვენ გვძალუძს ვიბრძოლოთ მსოფლიო თასისათვის“.

**ხრისტო ბონევი:** „გუნდმა ირძოლა, მაგრამ სამწუხაროდ შედეგი ვერ მოიმკა. ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია. ბოლო მატჩში ესპანელებთან ვა-ბანკზე წავალთ, სხვა არაფერი დაგვრჩენია“.



*მარიო ზაგალოს და ემე ჟაკეს შემდეგ ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი კიდევ ერთი ბედნიერი თავკაცია, ვისი გუნდიც მონდიალის შემდგომ ეტაპზე გავიდა.*



*ამოკაჩიმ (№14) ბულგარელი მცველები აშკარად დაჯაბნა*

*გაზეთ „ლელოს“ რედაქცია მადლიერებას გამოხატავს გამომცემლობა „სამშობლოს“ ხელმძღვანელების მიმართ ფეხბურთში მსოფლიოს XVI ჩემპიონატის მსვლელობის ოპერატიულად გაშუქებაში ხელშეწყობისათვის.*

*„ლელოს“ ამ ნომრისათვის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასალები მოამზადეს ჯემალ ჭიკაშვილმა, დათო თავართქილაძემ, გოგა ლომიძემ და გია ახალაძემ.*

## ჩემპიონატის ფსიქოლოგიური შტრიხები

წლევანდელ საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატში აშკარად შესამჩნევია ათლეტური თამაში შეზავებული აკრობატულ ილეთებთან. თითქმის ყველა გუნდი მაღალ ფიზიკური კონდიციებით გამოირჩევა. ფეხბურთელები თავდაუზოგავად მიდიან რისკზე, რაც მეტწილად მოუზომელია და უხეშობაში გადადის, ასევე მეტწილად დაუნდობელნი არიან მათ მიმართ მსაჯებიც. გაფრთხილება-გაძევების სარეკორდო რაოდენობა აღინიშნა 18 ივნისის ორ მატჩში. ალბათ ეს ფაქტი სხვებისთვისაც გაფრთხილება იქნება, თორემ გუნდების დანაკარგები შეიძლება კატასტროფამდე მივიდეს, რითაც ჩემპიონატიც გაუფერულდება.

რამდენადაც ფიზიკურად კარგად მომზადებულნი არიან ფეხბურთელები და საერთო ჯამში გუნდები, იმდენად ასევე აშკარაა ხარვეზები ფსიქოლოგიურ მომზადებაში. როგორც კი ფავორიტები თავიანთზე სუსტი გუნდების წინააღმდეგობას წააწყდებიან, როგორც იტყვიან, ბრონჯივით იბნევიან. იგივე 18 ივნისს, ფრანგებს ნირი წაუხდათ საუდის არაბეთთან მატჩში, როცა მოედანზე ქარიშხალი კი დაატრიალეს, მაგრამ კარგა ხანს ვერ დალაშქრეს მეტოქის კარი. ვიდრე ფრანგები არ დარწმუნდნენ, რომ ყვითელ-წითელი ბარათების ფრიალს მსაჯი მათ “ჩასაძირად“ სულაც არ მიმართავდა, გონს ვერ მოეგნენ, მერე კი... მერე რაც მოხდა ყველამ კარგად იცით.

სამხრეთ აფრიკელებს თავიანთი ქვეყნის „მთავარი ფსიქოლოგი“ პრეზიდენტი ნელსონ მანდელა კაბინეტიდან ამხნევებდა და შიგდაშიგ მუქარასაც გაურევდა ხოლმე. არადა, მანდელას შეძახილმა ნამდვილად გაჭრა, გუნდისთვის ფსიქოლოგიურ მუხტად იქცა და დანიელებს, ყველა რომ იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, ერთობ გაურთულა საქმე, ამასთან თავად ჯგუფიდან გასვლის რაღაც შანსი დაიტოვეს აფრიკელებმა.

ფსიქოლოგიურ მდგრადობას გუნდში, მწვრთნელები სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ მიაღწიონ. ყოველ შემთხვევაში, რასაც სჩადიან, სჯერათ, რომ დადებით შედეგს გამოიღებს — თავიანთი ფეხბურთელებისა, უკეთ იციან... ხელმოცარული გუნდების დროულად გამოსაფხიზებლად რას აღარ მიმართავენ მწვრთნელები და მართლაც, საოცარი ამბები ხდება. აბა სად გაგიგონიათ, მწვრთნელს თავისი ქვეყნიდან ალკოჰოლური სასმელები გამოეთხოვოს ფეხბურთელთა... განტვირთვისათვის. სწორედ ასე მოიქცა ესპანელთა ნაკრების თავკაცი (თუ რა და რა რაოდენობის სასმელი მიიღო ამანათით „ლელოს“ ამ ნომერში სხვაგან ამოიკითხავთ). ფსიქოლოგიაში ცნობილია დარწმუნების მეთოდი. როგორც ჩანს, ხავიერ კლემენტეს სჯერავს, რომ ალკოჰოლზე მეტად რწმენა იმოქმედებს მის შეგირდებზე, რწმენა იმისა, რომ ამით გადაილახება ფსიქოლოგიური ბარიერი და გუნდი თავდაჯერებული გამოვა მოედანზე. ესპანელებმა ნიგერიელებთან მარცხის შემდეგ მწარე გაკვეთილი მიიღეს და პარაგვაელებთან შეხვედრაში დათრგუნულები რომ არ ყოფილიყვნენ, მწვრთნელმა მართლაც ასეთი არაორდინარული ნაბიჯი გადადგა.

თუ როგორ გაამართლა, მწვრთნელის ჩანაფიქრმა, თავად იხილეთ...

# ნიკოლაი ტოლსტიხი: იამაიკა და ტუნისი კი არა, სიერა-ლეონეც სანატრელი გაგვიხდება

## თბილისში მგზავრობა რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელისთვის ბოლო გამოდგა

**მოსახდენი მოხდა, ოღონდ ძლიერ დაგვიანებით — რუსეთის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების საყოველთაო კრიტიკის ქარცეცხლში მოხვედრილმა მთავარმა მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა გადადგომა ითხოვა და იმთავითვე ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა.**

მას შემდეგ, რაც რუსეთელებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის საგზური ვერ მოიპოვეს (ბოლო 20 წლის მანძილზე პირველად!), საზოგადოებაში სისტემატურად მუსირებდა ხმები იგნატიევის გადადგომის თაობაზე. მაგრამ, ნურასუკაცრავად, დაიძაბებოდა თუარა ვითარება, ნაკრების თავკაცის დასაცავად „მეხამრიდად“ გამოდიოდა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი — ვაცალოთ ამ კაცს მუშაობაო. ახლა, როცა თავად კოლოსკოვს შეუყენეს წყალი (იგი ფიფას ვიცე-პრეზიდენტობას დაემშვიდობა და სამშობლოშიც ვერ აქვს კარგად საქმე, კავშირის პრეზიდენტად მისი ხელახლა არჩევა ძლიერ საეჭვოა), იგნატიევმა ეულად იგრძნო თავი, რამაც ზემოაღნიშნული ნაბიჯი გადაადგმევინა. ვის ჩააბარებენ აწი რუსეთის ნაკრებს, უფრო მეტიც, რა ექსტრემალური ნაბიჯები გამოიყვანს რუსულ ფეხბურთს ღრმა კრიზისიდან? — ამ კითხვებით მივმართე საფრანგეთში, XVI მსოფლიო ჩემპიონატზე ერთკვირიანი მივლინებით ჩამოსულ რუსეთის პროფესიულ საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტს **ნიკოლაი ტოლსტიხს.**

— მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა. აბა, რა უნდა უპასუხო, ვთქვათ, კემეროველ მეშახტეს, რომელიც გაკვირვებული გვეკითხება — რუსეთი, ასეთი უზარმაზარი ქვეყანა, მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა, იმავდროულად იამაიკა, ტუნისი, სამხრეთ აფრიკა და მისთანები საფრანგეთში წარმოდგენილები არიან, სად ჩვენი და სად იმათი საფეხბურთო ტრადიციები და მაინც, საბოლოო ჯამში, უმაღლეს საფეხბურთო ფორუმზე რუსები ვერ ხვდებიან.

● *თქვენ კი, რას პასუხობთ იმ მეშახტეს?*

— წარმოიდგინეთ, მიჭირს დავასახელო ის კონკრეტული მიზეზები, რომლებმაც ამ დონემდე მიგვიყვანა. თუმცა, მაინც მგონია, აქ საქმე სუბიექტურ მოტივებთან უფრო გვაქვს.

● *უფრო კონკრეტულად?*

— არც ისე ცუდად გვაქვს საქმე, როგორც ხატავენ. რუსეთის ჩემპიონატი რომ ავიღოთ, იგი დონით ევროპის ათეულში მაინც შევა, გაუტოლდება, ალბათ, ჰოლანდიის, შვეიცარიის, თურქეთის, საბერძნეთის ასპარეზობებს. გაცილებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს ნაკრებთა დონის შეჯიბრებებზე. ამის ძირითადი მიზეზი მწვრთნელთა ხშირ ცვლაშია. ყველამ დაიმახსოვროს — მწვრთნელთან კონტრაქტი თუ გაფორმდა, ნება იბოძეთ და სახელშეკრულებო ვადას ბოლომდე ენდეთ.

● *კი მაგრამ, ხომ ენდნენ იგნატიევს, მერე რა ხეირი მოგვიტანა ამან, ნუთუ არ შეიძლება რუსეთის საფეხბურთო კავშირმა იმდენ თანხებს მოუყაროს თავი, რომ საზღვარგარეთიდან ერთი ნორმალური მწვრთნელი ჩამოიყვანოს. ვერაფრით დამაჯერებთ, რომ ფიფა, ანდა უეფა, სახელდობრ, აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიურო კოლოსკოვის „უწყებას“ საამისო სახსრებს არ უყოფს...*

— დიახ, პირდაპირ ანეკდოტურად ჟღერს — „ჩამორჩენილი“ ნიგერია იმდენს ახერხებს, რომ ბორა მილუტინოვიჩისნაირ სპეციალისტს ნაკრების სათავეში ეპატიჟება, ხოლო „დიდი“ რუსეთი ამას ვერ ახერხებს. ამის თაობაზე მრავალჯერ მივმართე ბატონ კოლოსკოვს. მან ვერცერთხელ ვერ დამისაბუთა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა რუსული ფეხბურთისთვის საზიანო იქნება. ბოლოსდაბოლოს, თუ არ გვაქვს ის მილიონამდე დოლარი, რომელიც ამ სპეციალისტს უნდა გადავუხადოთ, ხომ შეიძლება გასამრჯელოდ მას, ვთქვათ, მოსკოვში პრესტიჟულ ადგილზე სახლი შევთავაზოთ ან აგარაკი სადმე მოსკოვთან ახლოს. ვფიქრობ, ამით ჩვენი სამშობლო დიდად არ დაზარალდება, სამაგიეროდ, მთელ რუსეთს სალათას ძილისაგან იხსნის.

● *მოკლედ, გამოსავალი არის, ოღონდ თავის მობმაა საჭირო, ამას კი რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა ვერ აკეთებს...*

— ამიტომაც, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საინიციატივო ჯგუფს შევქმნით და კარდინალური გზების ძიებას დავიწყებთ. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

● *ესე იგი, მეამბოხეთა რიგებში დგებით?*

— რატომ? უფრო „რევოლუციონერთა“ რიგებს მივეკუთვნები. დამიჯერეთ, დრო არ ითმენს და თუ რეფორმატორები დროზე არ მოვიდნენ ფეხბურთის სათავეში, უსაშველოდ ჩამოვრჩებით და მარტო იამაიკა და ტუნისი კი არა, ზიმბაბვე და სიერა-ლეონეც სანატრელი გაგვიხდება.

ესაუბრა **არკადი სმირნოვი,**
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მატჩი №22. სენ-დენი. „სტად დე ფრანსი“. 80.000 მაყურებელი

**საფრანგეთი — საუდის არაბეთი 4-0 (2-0)**

*საუდის არაბეთი:* ალ დეია, ალ ჯაჰანი (ალ დოსარი, 17), ალ ხილაივი, ზუბრამავი, სულიმანი, ხ. ალ ოვაირანი (ალ. ხარბი, 33), ალ. შაჰრანი, ალ მუვალიდი, სალეჰი, ალ ჯაბერი, ს. ალ. ოვაირანი.

*საფრანგეთი:* ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზიუ, დეშამპი, ბოგოსიანი, ანრი (პირესი, 79), ზიდანი, დიომედი (ჯორკაეფი, 59), დიუგარი (ტრეზეგე, 30).

*გოლები:* ანრი (36,78); ტრეზეგე (68), ლიზარაზიუ (86).

*გააფრთხილეს:* ბლანი, ალ ჯაჰანი, ალ. ჯაბერი, ლიზარაზიუ.

*გააძევეს:* ალ. ხალაივი (19), ზიდანი (71).

*მსაჯი:* ა. კარტერი (მექსიკა).

**მატჩის შემდეგ**

**კარლოს ალბერტო პარეირა (საუდის არაბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ცხადია, ფრანგები სათამაშო კლასით ჩვენზე მაღლა იდგნენ და ამან შედეგშიც ჰპოვა ასახვა. თანაც მატჩის დასაწყისშივე მინდვრიდან კაცი გაგვიგდეს და ამ გარემოებამ მთლად მოგვიღო ბოლო. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, ვთვლი, რომ ჩემპიონატის მასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონობა ძალუძთ, ძალიან კარგად დაბალანსებული, შეკრული გუნდია“.

**ემე ჟაკე (საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „მეტოქეებმა კარგი ფეხბურთი აჩვენეს. ჩვენმა ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს დაცვაშიც, თავდასხმაშიც. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. დამამწუხრა დიუგარის ტრავმამ. იგი ექიმებმა უკვე გასინჯეს და აღმოჩნდა, რომ კუნთი დაეჭიმა. ვშიშობ, რომ მკურნალობას 2-3 კვირა მაინც დასჭირდება. ეს დასანანია, ვინაიდან მთავარი ბრძოლები წინა გვაქვს.


საფრანგეთი — საუდის არაბეთი



საფრანგეთი — საუდის არაბეთი




ანრიმ (№12) და ტრეზეგემ (№ 20) თითო გოლი გაიტანეს


სამხ. აფრიკა — დანია

მატჩი №21. ტულუზა. „სტად მუნისიპალი“. 37.500 მაყურებელი

**სამხრეთ აფრიკა — დანია 1-1 (0-1)**

*სამხ. აფრიკა:* ვონკი, ფიში, რადებე, ნიატი (ბაკლი), ავგუსტინი (პირიე, 46), ისა, ბარტლეტი (მასინგა, 78), ფორტუნი, მოშოუ, მაკართი, მკალელე.

*დანია:* შმეიხელი, კოლდინგი, რიპერი, ჰოგი, შიონ ბერგი (ვიგჰორსტი, 82), იორგენსენი, ჰელვეგი, ნილსენი, მ. ლაუდრუპი (მოლნარი, 58), ბ. ლაუდრუპი, სანდი (ჰაინცე, 59).

*გოლები:* 0-1 ნილსენი (14), 1-1 მაკართი (52)

*გააფრთხილეს:* ჰოგი, ნიატი, შიონბერგი, რადებე, პირი, ისა, შმეიხელი.

*გააძევეს:* მოლნარი (68), პირი (69), ვიგჰორსტი (86).

*მსაჯი:* ხ. რენდონი (კოლუმბია)

**მატჩის შემდეგ**

**ფილიპ ტრუსიე (სამხ. აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „რასაკვირველია, შედეგით უკმაყოფილო ვარ, თამაშის ლოგიკით ეს მტჩი უნდა მოგვეგო — თუნდაც მეორე ტაიმში გამოუყენებელი საგოლე მომენტები გაიხსენეთ. ახლა მთელი ყურადღება შემდეგ შეხვედრაზე გადავიტანოთ — საუდის არაბეთს აუცილებლად დავამარცხებთ. მთავარია გუნდი ფსიქოლოგიურად კარგად მოვამზადო“.

**ბო იოჰანსონი (დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „კოლუმბიელი მსაჯის მოქმედებით ძალიან უკმაყოფილო ვარ, მას ობიექტურობა აკლდა, მარტივ სიტუაციებში ვერ ერკვეოდა. მატჩის შედეგი, ვფიქრობ, სამართლიანია — პირველი ტაიმი ჩვენი გუნდის უპირატესობით წარიმართა, მეორეში მეტოქემ იმძლავრა. ახლა ყველაფერი გვერდზე უნდა გადავდოთ და ფრანგებთან შეხვედრისათვის მოვემზადოთ“.



მსაჯმა რენდონმა დანიელი ვიგჰორსტი მინდვრიდან გააძევა

## ჩემპიონატის მოზაიკა

● **იაპონელმა გულშემატკივრებმა „გვიან გამოიღვიძეს“ — ჩემპიონატზე დასწრების სურვილი უეცრად 2500 გულშემატკივარს გაუჩნდა, მაგრამ ბილეთები უკვე კარგახნის გაყიდულია და უარი მიიღეს.**

● **კორეელებს** საკუთარი მზარეული ახლავთ და ფეხბურთელებს მათთვის საყვარელ კერძებს ის უმზადებს.

● **თუ გერმანელები** *მსოფლიო თასს მოიპოვებენ, ფეხბურთელები მიიღებენ 150 ათას მარკას, ფინალში თამაშისთვის 125 ათასს, ნახევარფინალამდე მიღწევისთვის 100 ათასს.*

● **გასკოინი**ლოთობის გამო ვერ მოხვდა ინგლისის ნაკრებში. სასჯელი არ ასცდებოდა შერინგემსაც, რომელიც ჩემპიონატის წინ თურმე ღვინით და ქალებით ერთობოდა, მაგრამ ამ ფეხბურთელმა დროზე მოინანია საქციელი.

● **ესპანეთის ნაკრებმა საგანგებო ამანათით მიიღო 360 ბოთლი წითელი და 240 ბოთლი თეთრი ღვინო, 1000 ბოთლი ლუდი. ხავიერ კლემენტემ თავის ბიჭებს ნება დართო ამდაგვარი განტვირთვისთვის.**

● **ჩემპიონატის** ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია 17 წლის კამერუნელი ეტო ოა.

## მოკლედ...

● **ბრაზილიისა** და მაროკოს შეხვედრის დროს ჩემპიონების კაპიტანს დუნგასა და ბებეტოს შორის მოხდა შელაპარაკება. მიუხედავად ამისა, მატჩის შემდეგ მწვრთნელმა მარიო ზაგალომ გულშემატკივრებს განუცხადა, რომ გუნდში სრული სიმშვიდეა.

● **ესპანეთის** ნაკრები, რომელიც მსოფლიო თასის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, მოულოდნელად დამარცხდა ნიგერიასთან. ამის თაობაზე მცველმა ნადალმა აღნიშნა: „პირველი მატჩი წავაგეთ, მეორეს — მოვიგებთ და, მაინც, ფავორიტებად დავრჩებით“. ფორვარდმა რაულ გონზალესმა კი გამამხნევებელი სიტყვებით მოიხსენია მეკარე სუბისარეტა, რომელსაც აფრიკელებთან გაშვებულ გოლში სდებენ ბრალს: „სუბი (სუბისარეტა) ენთუზიასტია; ის ყოველთვის კარგად განგვაწყობს ხოლმე მატჩისათვის. ჩემპიონატი მხოლოდ დაიწყო და მთავარია სიმშვიდე. ჩვენ კვლავ მოვიგებთ — ოპტიმისტურად განაცხადა „რეალის“ ფეხბურთელმა“.

მოამზადა **ბია ახალაძემ**

## რა თქმა უნდა, ბრაზილიაში შეიქმნებოდა ახალი ბურთი!

ისევე, როგორც ყავის, ფეხბურთის ხსენებაც ბრაზილიას გაგვახსენებს ხოლმე. ბუნებრივია ის სიახლეც, რასაც ეს ქვეყანა, კერძოდ კი სან-პაულუს სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა „კამბუსი“ ფეხბურთის ტრფიალთ სთავაზობს. ფირმამ გამოუშვა ახალი ბურთი და წარუდგენს ფიფას სარეგისტრაციოდ.

ახალ პროდუქციაში დაცულია ყველა მოთხოვნა: წონის, ზომის, ფორმის, წყალგაუმტარობის, მრავალი ძლიერი დარტყმისადმი მდგრადობით... თუ ახლა ბურთებზე 20 ექვსკუთხა და 12 ხუთკუთხა 32 ნაჭერია, ახალი მოდელი მხოლოდ 12 არასწორი ფორმისა და ზომის ნაჭრებისაგან დამზადდება.

ახალი პროდუქციის გამოცდამ სტენდზე „უმტკივნეულოდ“ გაუძლო 2 ათასი თანაბარი ძალის დარტყმას (თამაშზე საშუალოდ 400 დარტყმა მოდის), სიახლემ ცხადჰყო მისი უპირატესობა არსებულ ბურთებთან შედარებით. მთავარი კი ისაა, რომ, ნაკლები ნაკერების გამო ბურთს ჰაერის ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება, რის გამოც 12 პროცენტით გაიზარდა მისი სისწრაფე და უფრო კარგად „ხტის“.

## პარეირა: გოლებს მე ხომ ვერ გავიტან

ძალზე მაღალი რეპუტაცია აქვს აზიურ ქვეყნებში საუდის არაბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას. მისგან ყოველთვის სასწაულს ელიან. სწორედ პარეირა იყო, ვისი ხელმძღვანელობითაც ბრაზილიის ნაკრები 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ამასთან, ბრაზილიის ნაკრები სხვაა და საუდის არაბეთისა სულ სხვა, პარეირამ კი თავიდანვე განაცხადა, რომ გუნდისაგან ახლა ბევრს ნუ მოელიან.

— ჯადოქარი ხომ არა ვარ, — უთხრა მან კორესპონდენტებს — შემიძლია ფეხბურთელებს თამაში ვასწავლო, მაგრამ მათ მაგივრად მინდორზე ვერ გავალ და გოლს ვერ გავიტან. განსაკუთრებით მაშფოთებს ის ამბავი, რომ მათი გადაცემები ძალზე არაზუსტია. თითოეულმა მათგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ამ კომპონენტში თამაში გააუმჯობესოს.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# XVI მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

## მონდიალი თავისი გმირებითა და ანტიგმირებით

### ბომბარდირები

მარსელო სალასი (ჩილე), კრისტიან ვიერი (იტალია) – 3-3 გოლი, ლუის ერნანდესი (მექსიკა), ტიერი ანრი (მექსიკა) – 2-2.

### ავტოგოლები

პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა) – 2, ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), იუსუფ ჩიბო (მაროკო), ტომი ბოიდი (შოტლანდია) – თითო.

### მინდვრიდან გააძევეს

ანატოლი ნანკოვი (ბუგარეთი), რაიმონდ კალა (კამერუნი), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ჰა სეკ ჯუ (სამხრეთ კორეა),მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი (ორივე დანია), ალფრედ პირი (სამხ. აფრიკა), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), მუჰამედ ალ ხალაიჟი (საუდ. არაბეთი).

### გააფრთხილეს

**A ჯგუფი**
*ბრაზილია* – სეზარ სამპაიო – 2, ალდაირი
*შოტლანდია* – დარენ ჯექსონი – 2, გორდონ დიური
*მაროკო* – საიდ ჩიბა – 2, აბდელჯალილ ჰადა
*ნორვეგია* – კეტილ რეკდალი, ჰენინგ ბერგი.

**B ჯგუფი**
*იტალია* – ანჯელო დი ლივიო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიჯი დი ბიაჯო.
*ჩილე* – კლარენს აკუნია, ნელსონ პარაგუსი, ფრანსისკო როხასი,.მარსელო სალასი, მოისეს ვილიაროელი, ივან სამორანო, ფაბიენ ესტეი.
*ავსტრია* – პეტერ შოტელი, ანტონ პფეფერი
*კამერუნი* – რიგობერტ სონგი, დიდიე ანგიბედო, პიერ ნჯანკა, პიერ ვომე, სამუელ იპუა.

**C ჯგუფი**
*საფრანგეთი* – ზინედინ ზიდანი, დიდიე დეშამპი, ემანუელ პეტი, ლორან ბლანი, ბიქსენტ ლიზარაზიუ.
*დანია* – ალან ნილსენი, მარკ რიპერი, მორტენ ვიგჰორსტი, მიჰაელ შიონბერგი, იეს ჰოგი, პეტერ შმეიხელი.
*საუდის არაბეთი* – ხალიდ ალ მუვალიდი, სამი ალ ჯაბერი, მუჰამედ ალ ჯაჰანი
*სამხ. აფრიკა* – ვილემ ჯექსონი, ლუკას რადებე, ალფრედ პირი, პიერ ისა, დავიდ ნიათი.

**D ჯგუფი**
*ესპანეთი* – ივან კამპო, მიგელ ანხელ ნადალი, გილერმო ამორო.
*ბულგარეთი* – ანატოლი ნანკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ტრიფონ ივანოვი.
*პარაგვაი* – მიგელ ბენიტესი.
*ნიგერია* – უჩე ოკეჩუკვუ.

**E ჯგუფი**
*ბელგია* – ლორენსო სტალენსი, ერიკ დეფლენდრე
*მექსიკა* – გარსია ასპე, ხაიმე ორდიალესი.

**F ჯგუფი**
*გერმანია* – იენს იერემისი, დიტმარ ჰამანი, იორგ ჰაინრიხი.
*აშშ* – ფრენკ ჰეიდუკი, ედი პოუპი.
*იუგოსლავია* – დრაგან სტოიკოვიჩი, ზელიკო პეტროვიჩი.

**G ჯგუფი**
*ინგლისი* – სოლ კემპბელი
*კოლუმბია* – ხოსე სანტა
*რუმინეთი* – დან პეტრესკუ, დორინელ მუნტიანუ, იულიან ფილიპესკუ.

**H ჯგუფი**
*ხორვატია* – დარიო სიმიჩი, ზვონიმირ სოლდო
*იაპონია* – ტაკაში ჰირანო, ისუკე ნაკანიში, მასიმო იჰარა
*იამაიკა* – ლეონ ბარტონი.

---

მატჩი №20. მონპელიე. „სტად დე მოსონი". 35 000 მაყურებელი

**იტალია — კამერუნი 3-0 (1-0)**

*იტალია:* პალიუკა, მალდინი, კანავარო, კოსტაკურტა, ნესტა, ალბერტინი (დი მატეო, 62), დი ბიაჯო, დ. ბაჯო, მორიერო (დ. ლივიო, 84), რ. ბაჯო (დელ პიერო, 65), ვიერი.
*კამერუნი:* სონგო, ნდო, კალა, სონგი, ვომე, ანგიბედო, იპუა (ჟობი, 46), მბომა (ეტო, 66), ნჯანკა, ომამ ბიიკი (ჩამი), ოლემბე.
*გოლები:* დი ბიაჯო (8), ვიერი (75,90)
*გააფრთხილეს:* ნჯანკა, ვომე, სონგი, ანგიბედო, კოსტაკურტა, დი ბიაჯო
*გააძევეს:* კალა (42)
*მსაჯი:* ე. ლინი (ავსტრალია)

**მატჩის შემდეგ**

**კლოდ ლერუა (კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ყველაფერი გადაწყდა პირველივე ტაიმში, იგი სუსტად ჩავატარეთ, თანაც მოთამაშე გაგვიგდეს მაშინ, 0-1 რომ ვაგებდით.ყველას ეგონა, ამის შემდეგ გავტყდებოდით, მაგრამ ბიჭებმა მობილიზება შეძლეს და იტალიელი მცველები გვარიანად ანერვიულეს. ამ დროს „სკუადრა აძურა" მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდა. მაინც მჯერა, შემდეგ ეტაპზე გავალთ – მიუხედავად იმისა, რომ ჩილეს ნაკრებს ორი დიდებული ფორვარდი ჰყავს, ჩვენ ძალგვიძს ამ გუნდის დამარცხება".

**ჩეზარე მალდინი (იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „რომელიმე ფეხბურთელს არ გამოვჰყოფ – ყველამ კარგად ითამაშა, დავალებები უზადოდ შეასრულეს. დღეს „სკუადრა აძურამ" კუნდური თამაში აჩვენა და შედეგიც მოომკო. ახლა ყველაფერი ავსტრიელებთან მატჩში გადაწყდება. დარწმუნებული ვარ ჩვენი თავდასხმა კიდევ გაიბრწყინებს და ისე ითამაშებს, როგორც დღეს მეორე ტაიმში".







დელ პიერო (№ 10) — ნდო

*ИТАЛИЯ*

**იტალია–კამერუნი.** *მარცხნივ – ზევით: დი ბიაჯოს პირველი გოლი; ქვევით – ნესტასა და ოლემბეს ორთაბრძოლა.*

მატჩი №19. სენტ-ეტიენი. „სტად ჟოფრუა გიშარი". 36000 მაყურებელი

**ჩილე — ავსტრია 1-1 (0-0)**

*ჩილე:* ტაპია, რეიესი, ფუენტესი, მარგასი, ვილიაროელი (კასტანედა, 67), აკუნია, პარაგუსი, ესტეი (სიერა, 57) როხასი, სამორანო, სალასი.
*ავსტრია:* კონსელი, ფაიერზინგერი, შოტელი, პფეფერი, ჩერნი (შოპა, 46), მაილიხი, კუხბაუერი (ჰერცოგი), პფაიფენბერგერი, ვეტლი, პოლსტერი, ჰაასი (ვასტიჩი, 75).
*გოლები:* 1-0 სალასი (70), 1-1 ვასტიჩი (90).
*გააფრთხილეს:* სალასი, სამორანო, ვილიაროელი, შოტელი.
*მსაჯი:* ჯ. გონდური (ეგვიპტე).

**მატჩის შემდეგ**

**ჰერბერტ პროჰასკა (ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩვენი გუნდის თამაშით ისევ უკმაყოფილო დავრჩი, ბიჭებს ვთხოვე ქაოტურად და უმიზნოდ ნუ ირბენთ მინდორზე-თქო, მაგრამ მათ დავალება ვერ შეასრულეს. მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე გოლი რომ გავუშვით, ვიფიქრე, მორჩა, წავაგეთ, მაგრამ მერე ნებისყოფა მოვიკრიბე და დავიწყე ფიქრი, რა ცვლილებები შემეტანა გუნდში მდგომარეობის გამოსასწორებლად – გადავწყვიტე ვასტიჩი შემომეყვანა და მოხარული ვარ ამ ნაბიჯმა რომ გაამართლა. ფრე ამ მატჩის სამართლიანი შედეგი იყო. ახლა ბოლო თამაში იტალიასთან გველის. დასაკარგი არაფერი გვაქვს და უშეღავათო ბრძოლისათვის მოვემზადებით".

**ივიცა ვასტიჩი (ავსტრიელი ფეხბურთელი):** „დღეს უბედნიერესი კაცი ვარ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ეს ჩემი პირველი გოლია და თანაც ასეთი მნიშვნელოვანი. თანაგუნდელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაშვებულმა გოლმა ისინი არ დააბნია, და ბოლო მომენტამდე სჯეროდათ წარმატების. წინა მატჩშიც, გახსოვთ ალბათ, კამერუნელებთან ქულა ბოლო წუთებზე ავიღეთ. დღესაც ვგრძნობდი, რომ ამის გამეორება შეგვეძლო. მთელი გუნდით შეტევაზე გადავედით და ამან შედეგი გამოიღო, თანაც ფორტუნამ კარგი თვალით გადმოგვხედა".

**ნელსონ აკოსტა (ჩილეს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ეს საშინელებაა, ბოლო წუთზე გამარჯვება ხელიდან გაუშვა. თამაში მშვენივრად წარვმართეთ, მაგრამ ფრეს დავჯერდით. საწყენია. ახლა ბიჭების დამშვიდებას შევეცდები და ფსიქოლოგიურად მოვამზადებ კამერუნის წინააღმდეგ საბრძოლველად".

**ივან სამორანო (ჩილელი ფეხბურთელი):** „სამი ქულა ჯიბეში გვქონდა და ბოლოს ფრეს დავჯერდით. საწყენია. და მაინც, შემდეგ ეტაპზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს. „ძალ-ღონეს არ დავიშურებთ მიზნის მისაღწევად".



ჩილე — ავსტრია





## ფსონს ჩამოდით, ბატონებო!

უცხოეთის ბუკმეკერული კანტორები ერთსულოვანი აზრისანი არიან, რომ ბრაზილიის გუნდია მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტი. „უილიამ ჰილი" მაგალითად, ვინც ამ ნაკრებზე ფსონს ჩავა, 2,7 გირვანქა სტერლინგს გადაუხდის ყოველ გირვანქა სტერლინგზე. „ლედბროკსი" — 3, „ინტერტოპსი" — 3,5. მეორე ადგილზე გასულზე აზრი გაიყო — „უილიამ ჰილი" და „ლედბროკსი" საფრანგეთზე დებენ (6 და 5,5), „ინტერტოპსი" — გერმანიაზე (6). „ინტერტოპსი" საფრანგეთს მესამედ მიიჩნევს — 7, გერმანელებს „უილიამ ჰილი" და „ლედბროკსი" — მეხუთედ (8 და 7 შესაბამისად). ამ სამი ფირმის ვერსიებით დანარჩენი გუნდების რეიტინგებია (პირველი პრემია 1 გირვანქაზე „უილიამ ჰილისაა", მეორე — „ლედბროკსის", მესამე — „ინტერტოპსის"): იტალია 7, 6, 8; ინგლისი — 8, 8, 8; არგენტინა — 9, 7, 8; ჰოლანდია — 10, 10, 9; ესპანეთი — 12, 14, 14; ნიგერია — 25, 28, 20; ნორვეგია — 25, 28, 33; იუგოსლავია — 25, 25, 25; ხორვატია — 40, 60, 33; რუმინეთი — 50, 50, 40; კოლუმბია — 66, 66, 50; დანია — 66, 80, 40; ბულგარეთი — 80, 80, 50; ბელგია — 100, 100, 66; ავსტრია — 150, 250, 100; კამერუნი — 150, 150, 100; შოტლანდია — 150, 150, 125; სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — 150, 150, 100; აშშ — 150, 200, 100; მექსიკა — 150, 150, 100; იაპონია — 250, 500, 250; მაროკო — 300, 300, 200; იამაიკა — 400, 300, 250; საუდის არაბეთი — 400, 250, 200; სამხრეთ კორეა — 400, 350, 200; ტუნისი — 400, 350, 250; ირანი — 500, 500, 500.

„ინტერტოპსი" მიიღებს ფსონს ჯგუფებში გამარჯვებულებზეც (სავარაუდო პრეტენდენტებია — ბრაზილია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, არგენტინა) და, აგრეთვე, მერვედფინალისტებზე, მეოთხედფინალისტებზე (სავარაუდო რვა გუნდი: ბრაზილია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი, არგენტინა, ესპანეთი) და ნახევარფინალისტებზე (სავარაუდო ოთხეული: ბრაზილია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია), ფინალისტებზე — ბრაზილია, გერმანია.

„უილიამ ჰილი" ღებულობს ფსონს საუკეთესო ბომბარდირებზე. მათი რეიტინგია რონალდო (ბრაზილია) — 4 გირვანქა ყოველ ფსონზე, ბატისტუტა (არგენტინა) — 7, ბირჰოფი (გერმანია), შირერი (ინგლისი) — 11-11; დელ პიერო — (იტალია) — 12, მიატოვიჩი (იუგოსლავია) — 16, ედმუნდო (ბრაზილია), ოუენი (ინგლისი), ვიეირა (საფრანგეთი), ბერგკამპი (ჰოლანდია) — 20-20... ჩილავერტი (პარაგვაი) — 100. უკვე დაფიქსირდა სარეკორდო ფსონი ბრაზილიელებზე — 20 ათასი გირვანქა სტერლინგი (32 ათასი დოლარი), რომელიც ჩავიდა 40 წლის ანონიმი. თუ ბრაზილია მეხუთედ მოიპოვებს ჩემპიონობას, იგი 60 ათას გირვანქა სტერლინგს (96 ათასი დოლარი) მიიღებს.

ბუკმეკერების ცნობით ჩემპიონატის ციებ-ცხელებამ უკვე მოიცვა ბრიტანელები. სპეციალისტთა პროგნოზით იქ ფსონები 150 მილიონ გირვანქამდე (240 მილიონი დოლარი) გაიზრდება.

„უილიამ ჰილის" წარმომადგენელმა აღიარა, რომ თუ ბრაზილია ან ინგლისი მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს, ცუდ დღეში აღმოვჩნდებით: ჩასული ფსონების, მრავალმილიონიანი დავალიანების გასტუმრება მოგვიწევს.

# დანიელ პასარელა: როგორც მინიმუმი, ნახევარფინალი

**წლის განმავლობაში არგენტინის ნაკრების პოპულარულ მწვრთნელ დანიელ პასარელასთან უამრავი ინტერვიუ გამოქვეყნდა. აი, ზოგი საინტერესო ნაწყვეტი პასარელას საუბრებიდან.**



ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲞᲐᲡᲐᲠᲔᲚᲐ

● ***როგორი მოგონებები დაგრჩათ იმ მსოფლიო ჩემპიონატებიდან, რომლებშიც მონაწილეობდით?***

— 1978 წელს, როცა პირველად გავხდით მსოფლიო ჩემპიონები, ჩვენი ძალა გუნდის ერთიანობაში იყო. თავმდაბლობის მიუხედავად, სახელის მოხვეჭა მაინც გვეამაყებოდა.

● ***1982 წელს ესპანეთში გუნდის კაპიტანი იყავით.***

— ვფიქრობ, რომ იმ მომენტში გვყავდა უველაზე ძლიერი ნაკრები ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, იმ გუნდთაგან, სადაც თამაში მომიხდა. მაგრამ მაშინ არა მარტო საკმარისად ნიჭიერი მოთამაშეები გვყავდა, არამედ საკმაო ქედმაღლობაც გვქონდა, რწმენა საკუთარი ძალისა, უფრო კი, ზედმეტად — 1986?

— ეს იყო ჩემი კარიერის დაგვირგვინება. ნაკრებში მოვხვდი, როგორც ერთ-ერთი უველაზე უფრო გამოცდილი მოთამაშე. და, ეტყობა, კვლავ შემეძლო ერთ-ერთი ლიდერის როლის შესრულება. მაგრამ სწორედ ტურნირის დაწყების წინ ავად გავხდი და ვერც ერთ მატჩში ვერ მივიღე მონაწილეობა, თუმცა ოქროს მედლით მაინც დამაჯილდოვეს. ის არგენტინა, უპირველეს ყოვლისა, ჯერ მარადონა იყო, და მხოლოდ შემდეგ მთელი დანარჩენი გუნდი. მას რომ ნებისმიერ სხვა ნაკრებში ეთამაშა, ის გუნდიც მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. ეს ერთი იშვიათი შემთხვევათაგანია, როცა ერთი, ერთადერთი მოთამაშე გუნდის ძალას განსაზღვრავს.

● ***ახლა არგენტინის ნაკრებში უმთავრესად ის მოთამაშეები არიან, რომლებთანაც თავის დროზე „რივერ პლეიტში“ მუშაობდით...***

— როცა „რივერ პლეიტის“ მწვრთნელი გავხდი, აქცენტი ახალგაზრდებზე — ორტეგაზე, გალიარდოზე, კრესპოზე, ალმეიდაზე ავიღე და ამან კიდეც გამოიღო თავისი ნაყოფი. იგივე ახალგაზრდებმა კარგ შედეგს მიაღწიეს ატლანტის ოლიმპიადაზე, ისინი გახდნენ იმ გუნდის ბირთვი, რომელმაც საფრანგეთის საგზური მოიპოვა. მათ დაამტკიცეს, რომ გამორჩეული პიროვნებები არიან. ჩემი აზრით, არგენტინის ახლანდელი ნაკრების, როგორც მოთამაშეების, ისე მწვრთნელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსებაა არ მოექცეს კრიტიკის ზეწოლის ქვეშ. ეს, სხვათა შორის, ბუნებრივიც არის არგენტინელი ფეხბურთელებისათვის მაშინაც, როცა მოთამაშე ვიყავი, შეგვეძლო „დარტყმისათვის გაძლება“.

● ***რაღა დაგრჩათ ნაკრებში გასაკეთებელი, რომ თქვათ: „ეს ის გუნდია, რომელზედაც ვოცნებობდი“?***

— მინდა, რომ არგენტინის ნაკრები ცოტა უფრო მეტად ბრწყინავდეს. აქამდე მისი თამაში უფრო პრაგმატული იყო, ვიდრე სასიამოვნო.

● ***კრიტიკაზე რას იტყვით?***

— არგენტინულ პრესას არა აქვს კარგი მეხსიერება. ბევრი რამ ავიწუდება. შარშან ზაფხულში ბევრი ამბობდა, რომ ჩვენ ვერ მოვხვდებით ფინალში, სასტიკად მლანძღავდნენ და ახალი ფეხბურთელების მოწვევას მოითხოვდნენ. ახლა კი, როცა ისე, რომ შესარჩევ ტურნირში სერიოზული პრობლემები არ გვქონია და ფინალში ვართ, უველა აცხადებს — არგენტინის ნაკრები ფავორიტია და ვალდებულიც კია მსოფლიო ჩემპიონი გახდეს.

● ***გავრცელებულია აზრი, რომ არგენტინის ნაკრების თამაში მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც თქვენ გადაწყვიტეთ ერთდროულად გამოგეყენებინათ ორი დირიჟორი: ორტეგა და გალიარდო.***

— ეს ნაბიჯი პირველად ჯერ კიდევ „რივერ პლეიტში“ გადავდგი, როცა ეს ორი უდავოდ ნიჭიერი ჭაბუკი მხოლოდ 17-17 წლისა იყო. მაშინ მეუბნებოდნენ, რომ გავგიჟდი. თითოეულ მათგანს შეეძლო თამაშის წარმართვა, მაგრამ ერთად მოქმედება უჭირდათ. შემდეგში მათი დუეტი ნამდვილად ეფექტური გახდა. ამასთან, ისიც უნდა ვთქვა, რომ არგენტინის თამაშის გარდაქმნა მარტო ამ ორი დირიჟორის ერთდროული თამაშით არ შემოიფარგლა. ჩვენი თამაშის სქემა ახალმა ნიჭიერმა შემსრულებლებმა განსაზღვრეს. მაგალითად, ვერონმა, რომელსაც პაუზის გასაოცარი უნარი აქვს და შემდეგ თამაშს აჩქარებს კიდეც, ახალი ელემენტები შემატა საყრდენი ცენტრალური ნახევარმცველის მოქმედებას.

● ***მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების თქვენი გეგმა ცოტა უცნაური იყო: ბევრი მატჩი ითამაშეთ, მაგრამ მხოლოდ ერთი — ბრაზილიელებთან შეხვედრა იყო ძალების ნამდვილი შემოწმება.***

— დიდი არჩევანი არც კი გვქონდა. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას არ უნდოდა ამხანაგური მატჩების დაგეგმვა, სანამ გუნდი საფრანგეთის საგზურს არ მოიპოვებდა. შემდეგში ძნელი იყო „ფანჯრის“ მონახვა ძლიერი ნაკრებების — გერმანიის, ინგლისის, იტალიის გუნდების გეგმებში. რაც შეეხება თამაშების დიდ რაოდენობას, იგი ფიფას წესებით იყო განპირობებული, რომლის ძალითაც ევროპული კლუბები წელიწადში 7 მატჩზე მეტჯერ არ ანთავისუფლებენ თავიანთ მოთამაშეებს. ჩემთვის აუცილებელი იყო ერთის მხრივ, კანდიდატების მაქსიმალური რაოდენობის შემოწმება, მეორე მხრივ კი გამოვლენილი ძირითადი შემადგენლობის შეთამაშება.

● ***მთავარ ამოცანად რას ისახავდით ამ საკონტროლო მატჩებში?***

— თუკი პელე და მარადონა გუავთ, შეგიძლიათ ნებისმიერი მანერით ითამაშოთ. მაგრამ ახლა ასეთი მასშტაბის, ასეთი ძალის მოთამაშეები არ არიან, და ამიტომაც, საკუთარი სტილის შექმნა უმთავრესი ამოცანა ხდება. ამასთან, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძლიერ მეტოქეებს შეუძლიათ თქვენს წინაშე იმდენად რთული ამოცანების დაუენება, რომ შექმნილი სქემა ნაკლებად ეფექტური გამოდგეს. გუნდი, თუნდაც თავისი საკუთარი ხელწერით, ვალდებულია გაამრავალფეროვნოს თამაში მეტოქის მოქმედების გათვალისწინებით. ეს კი, მხოლოდ პრაქტიკულად, თამაშის დროს არის შესაძლებელი.

● ***არგენტინაში თვლიან, რომ ისტორიულად ჩამოყალიბდა ორი მიდგომა ფეხბურთისადმი. შემოქმედებითი, რომლის მიმდევარი მენოტი იყო და პრაქტიკული, რომელსაც ბილარდო ემხრობოდა. თქვენ რომელ სტილს აღიარებთ?***

— არც ერთს. ჩემი მაქვს.

● ***რაში გამოიხატება?***

— მომწონს, როცა გუნდი მოკლე გადაცემებს იყენებს, როცა არა ჰგავს უშაქრო სალეჭ რეზინს. მომწონს, როცა გუნდს შეუძლია მეტოქეს მისსავე ნახევარზე პრესინგი შესთავაზოს. თუმცა ყოველივე ეს მოსახერხებელია მხოლოდ სამხრეთამერიკულ მეტოქეებთან. ევროპაში კი თამაშის ტემპი გაცილებით უფრო მაღალია და უძლიერესი ევროპელი გუნდები დიდ სივრცეს არ გიტოვებენ.

● ***სამი თავდამსხმელით თამაში მსოფლიო ჩემპიონატისათვის უტოპია ხომ არ არის?***

— რატომ? ჩემთვის იდეალურია ვარიანტი, როცა ორტეგა თამაშობს წინ წაწეულ ორ თავდამსხმელთან ერთად, გალიარდო და ვერონი კი უკან მოქმედებენ.

● ***თქვენ მოგაწერენ სიტყვებს: „არ მინდა მსოფლიო ჩემპიონატის მოგება, თუკი ცუდ ფეხბურთს ვაჩვენებ“.***

— ეს ნამდვილად ვთქვი და ახლაც ვიმეორებ.

● ***არ ტოვებთ ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომლისთვისაც შედეგი მთავარი არ არის.***

— ასე ნუ იტყვით, თუ შეიძლება. მიყვარს უველაფერი ლამაზი. ლამაზი მუსიკა, ლამაზი ტანისამოსი, ლამაზი ფეხბურთი. ამავე დროს დარწმუნებული ვარ, რომ კარგად, აქტიურად, შთამბეჭდავი თამაში, წარმატების მოპოვების ერთადერთი გზაა.

● ***რა შედეგს ელით საფრანგეთში?***

— გუნდის კარგ თამაშს. ანდა, საკმარისად კარგ თამაშს, რათა მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებებთან ბრძოლაში ძნელია შენი მანერითაც იმოქმედო და ამასთან, ერთდროულად კარგადაც. ჩვენ კი გვინდა სწორედ უძლიერეს ნაკრებებს შევეჯიბროთ. ერთი სიტყვით, არგენტინა, როგორც მინიმუმი, ნახევარფინალამდე უნდა მივიდეს.

● ***ამრიგად, შეჯიბრების პირველი ეტაპი სერიოზულ დაბრკოლებად არ მიგაჩნიათ?***

— ეს არ მითქვამს. დიახ, ჩვენ არც ისე ძლიერი მეტოქეები შეგვხვდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ადგილი მერვედფინალში წინასწარ გარანტირებულია. აშკარად სუსტი მეტოქეები ხომ თანამედროვე ფეხბურთში თითქმის აღარ არიან, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებს შორის.

● ***თქვენ განაცხადეთ, რომ ამ ჩემპიონატის მატჩები გაცილებით უფრო სწრაფ ტემპში წარიმართებოდა, ვიდრე ოთხი წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო. ბუნებრივ პირობებს გულისხმობდით?***

— არა მარტო ბუნებრივ პირობებს. ეს მენტალიტეტის საკითხიც არის. სამხრეთ ამერიკის ნაკრებები ნაკლებ ზეწოლას იგრძნობენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო თავისუფლად და უფრო აქტიურად ითამაშებენ. მეორე მხრივ კი ევროპელები, რომელთათვის ეს ფაქტორი, პრინციპულად, ნაკლებად მნიშვნელოვანია, შეეცდებიან „საკუთარ მინდორზე“ რაც შეიძლება უკეთესები იყვნენ.

FRANCE 98 INFORMATIONS

## ნელსონ აკოსტა: „სიტყვის კაცი ვარ“

აი რა განაცხადა ჩილეს ნაკრების მწვრთნელმა, ურუგვაელმა ნელსონ აკოსტამ.

— ორი წლის წინ ჩილელებს დავპირდი, რომ ნაკრებს მსოფლიო პირველობის ფინალში გავიყვანდი. შევასრულე კიდეც ჩემი სიტყვა. ისეთი ბრწყინვალე მოთამაშეებით, როგორნიც ახლა ნაკრებში არიან თავმოყრილი, შეუძლებელია არ მოიგო. ჩილელებს მსოფლიო ჩემპიონატებში 16 წელია არ უთამაშიათ. როცა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენს ნაკრებს დისკვალიფიკაცია მისცეს. ეს მაშინ, როცა ჩვენ ჩვენი ძალა შეგვეძლო 4 წლის წინათაც გვეჩვენებინა.

— ჩვენი თავდასხმა ახლა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. სამორანო და სალასი მშვენიერი თავდამსხმელები არიან, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, თითქოს სხვა ძლიერი მოთამაშეები არ გვყავს. და საერთოდ, ძლიერი ვართ არა ინდივიდუალებით, არამედ კოლექტიური თამაშით.

## ამდენი ვარსკვლავი არასოდეს მინახავს

ასე ფიქრობს ბორა მილუტინოვიჩი, მხვედველობაში კი თავისი ახლანდელი გუნდი, ნიგერიის ნაკრები ჰყავს.

— არასოდეს მიმუშავია გუნდთან, სადაც ამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი ყოფილიყო. ნიგერიის ნაკრების მოთამაშეების ახლანდელ თაობას ბურთის ფლობის ჩინებული ტექნიკა და მშვენიერი ფიზიკური მონაცემები აქვს, ზოგ მათგანს კი გამარჯვებულის ფსიქოლოგიაც. ამასთან, რამდენიმე ნიგერიელი ხომ მსოფლიოს წინა ჩემპიონატში მონაწილეობდა და, ამრიგად, გამოცდილებაც აქვთ. ოთხი წლის წინ ამერიკაში ნიგერიელებს მშვენიერი სტარტი ჰქონდათ და უკვე მეორე წრის შემდეგ მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ვფიქრობ, ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა ადრინდელზე უფრო ძლიერია და ნებისმიერი ამოცანის გადაჭრა შეუძლია.

— პრობლემები გვქონდა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციასთან, მაგრამ ფეხბურთელები ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და განაგრძნობდნენ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას.

## შირაკმა ფიფა გაამტყუნა, ბლატერი თავს იცავს

იმის შემდეგ, რაც ბილეთების სპეკულანტური ფასებით გაყიდვის გამო სკანდალური სიტუაცია შეიქმნა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა სპეციალურ განცხადებაში გაამტყუნა ფიფა და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი. ფიფას ახალ პრეზიდენტ ზეპ ბლატერს დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა მოუხდა:

— არ მჩვევია სახელმწიფოების ხელმძღვანელების განცხადების კომენტირება, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ჩემპიონატის ჩამტარებელ ქვეყანაზე. ყოველთვის როდი ხერხდება ქურდისათვის ხელის ჩაჭერა, როცა იგი ჯიბეში გიძვრება. ახლაც ვერ ვახერხებთ. ამიტომ ვინმეს კონკრეტულად დადანაშაულება არ შემიძლია. ერთადერთი, რაც უნდა გავაკეთოთ, ეს არის — შემდეგში აღარ განმეორდეს ამგვარი რამ.

ბლატერი შეეხო ერთ საინტერესო საკითხსაც: მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის ერთბაშად ორ ქვეყანაში: იაპონიასა და კორეაში ჩატარებას. მან აღნიშნა, რომ „ეს არის მხოლოდ ექსპერიმენტი, რომელიც ექსპერიმენტადვე დარჩება“.

## ზიკო: თამაშიდან თამაშამდე მოვუმატებთ

**ზიკო ახლა ბრაზილიის ნაკრების ტექნიკური დირექტორია, მეორე პირი მთავარი მწვრთნელის შემდეგ. რას ფიქრობს იგი ჩემპიონატზე?**

— შთაბეჭდილება ჯერჯერობით კარგია. თამაშების უმრავლესობა მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა. გუნდები საკმაოდ მაღალი დონის თამაშს გვიჩვენებენ, რაც მთავარია, მოიგერიშეს და შედეგიანს. ყველა მოგებისაკენ მიისწრაფვის, რაც გასაგებია: პირველ ტურში ყველას ქულათა მარაგის შექმნა სურს.

● ***მესამე ტურში ნორვეგიელებს ეთამაშებით, რომლებთანაც შარშან ოსლოში წააგეთ ამხანაგური მატჩი ანგარიშით 2-4. ხომ არ ტოვებს უსიამოვნო შთაბეჭდილებას იმ წაგების მოგონება?***

— არავითარ შემთხვევაში. ამხანაგური მატჩი სხვაა, შეხვედრა მსოფლიო პირველობაზე კი სულ სხვა. ამასთან, ნორვეგიელები ძლიერები არიან და ეს მატჩი იოლი არ იქნება.

● ***ხშირად გამოთქვამენ ასეთ აზრს: ბრაზილია მეხუთედ მხოლოდ მაშინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონობას, თუკი რონალდო გოლების გატანას დაიწყებს.***

— რონალდოს საკითხი ნუ გაღელვებთ. ბედი ყოველთვის კი არ შეაქცევს მას ზურგს, დამშვიდებული ვარ. დიახ, იგი ბურთს ისე ხშირად როდი იღებს, როგორც სასურველია, ჩვეულებრივზე უფრო იშვიათად ექმნება საგოლე სიტუაცია. მაგრამ რონალდო ხომ ჭკვიანი და შრომისმოყვარე ჭაბუკია, ჩვენ ერთად ვმუშაობთ იმაზე, თუ როგორ უნდა გაიკვლიოს შექმნილ სიტუაციაში გზა კარისაკენ. ამასთან, მინდორზე მისი ყოფნაც კი უადვილებს პარტნიორებს თამაშს. ბრაზილიის ნაკრები კი მხოლოდ რონალდოსაგან არ შედგება.

● ***ჩემპიონატის წინ მარიო ზაგალო ბრაზილიელებს დაჰპირდა ნამდვილი ბრაზილიური თამაშის ჩვენებას. გამოუვიდა თუ არა?***

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენ ყველას გვინდა. მაგრამ საკითხი ასე დგას: რამდენად გვაძლევენ ამის საშუალებას მეტოქეები. იმედი მაქვს, თამაშიდან თამაშამდე ბრაზილიის ნაკრები უკეთესი იქნება. ჩვენი თამაშიც, როგორც დაგპირდით, ნამდვილად ბრაზილიური გახდება.

## სპეკულანტებს იჭერენ

იუგოსლავია — ირანის მატჩის დაწყების წინ სენტ-ეტიენის სტადიონ „ჟოფრუა გოშარის“ ახლოს დააკავეს ბილეთების სამი სპეკულანტი, მათ აღმოაჩნდათ 160 ბილეთი და ფრანკების დიდი თანხა. ამასთან, არც ერთი სპეკულანტი არ აღმოჩნდა ფრანგი: ერთი ნორვეგიელი იყო, მეორე — შვეიცარიელი, მესამე — ინგლისელი.

## „დეე, ხელს ნუ შეგვიშლიან“

გავა თუ არა ავსტრიის ნაკრები მერვედფინალში, ამას იტალიელებთან შეხვედრა გადაწყვეტს, ისე კი, მწვრთნელი ჰერბერტ პროხაზკა იმდენს არ კარგავს:

— მთავარია, მოთამაშეები ჩემპიონატს მთელი სერიოზულობით მიუდგნენ, ცხოვრების რიტმი შეიცვალონ და მთელი თავიანთი შესაძლებლობები თამაშში გამოიყენონ. მე ვთამაშობდი მსოფლიო ჩემპიონატში და ვიცი, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლება. ძალიან მინდა, რომ თამაშების დროს, ხელი არავინ შეგვიშალოს. ჩვენ შევამცირეთ კონტაქტები პრესასთან. მოთამაშეებმა უნდა ჭამონ, სვან, დაისვენონ და მატჩებისათვის ემზადონ.

## „იგი ნამდვილი ლიდერი იყო“

16 ივნისს დაასაფლავეს მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ფერნანდ სასტრი. სამგლოვიარო ცერემონიას მრავალი მწვრთნელი და ნაკრების ხელმძღვანელი დაესწრო.

ემე ჟაკემ ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტს განუცხადა:

— იგი არა მარტო ჩვენი თანამებრძოლი, არამედ შესანიშნავი მეგობარიც იყო, ნამდვილი ლიდერი. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მნიშვნელოვანწილად სწორედ სასტრის გამო მიიღო საფრანგეთმა ეს მშვენიერი საფეხბურთო დღესასწაული.




FRANCE 98 INFORMATIONS

## ქართული სპორტის მეციხოვნენი

# ვაჟა კვარაცხელია: მოვედით გამარჯვებისთვის!

**ახლახან, ბავშვთა საკალათბურთო ლიგაშიც დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი. ასაკობრივ ჯგუფებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. ჩემპიონთა შორისაა სოხუმის „კოლხა“. ამავე სახელწოდების მოზრდილთა გუნდი ეროვნულ ჩემპიონატშიც ასპარეზობს და ორივეს სათავეში უდგას ვაჟა კვარაცხელია.**



ვაჟა კვარაცხელია

*ვაჟა კვარაცხელია. დაიბადა 1961 წელს, სოხუმში. 1987 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. 1988-1992 წლებში მუშაობდა აფხაზეთის სპორტული თამაშების სკოლაში კალათბურთის მწვრთნელად. იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში, სოხუმის დაცემის შემდეგ მუშაობა განაახლა თბილისში — მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩამოაყალიბა საკალათბურთო გუნდი „კოხა“.*

— ორ ასაკობრივ ჯგუფს ვავარჯიშებ. 16-17 წლის ჭაბუკების „კოლხა“ საქართველოს ჩემპიონი გახდა. ამ ასაკში 16 გუნდი იბრძოდა წარმატებისთვის. 13-14 წლიანები კი 19 გუნდთან პაექრობაში III ადგილს დასჯერდნენ — გვითხრა მწვრთნელმა.

● ***ვფიქრობთ, დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი, როცა მერაბ კეკელიძემ „კოკა-კოლას“ სპონსორობით ბავშვთა საკალათბურთო ლიგა ჩამოაყალიბა.***

— გეთანხმებით, ამით ჩვენში უკვე შეიქმნა და სრულყოფის სტადიაშია პროფესიონალ კალათბურთელად ბავშვობიდან აღზრდის სისტემა.

● ***წლევანდელი შედეგით ალბათ კმაყოფილი ხართ...***

— უკმაყოფილობის საბაბი ნამდვილად არ მაქვს. მომავალშიც პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

● ***ასეთი თამამი გეგმების განხორციელება სპონსორების გულმოწყალებაზეც იქნება დამოკიდებული...***

— არანაირი სპონსორი არ გვყავს. ბავშვთა ლიგაში შესატანი თანხა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ხელმძღვანელობამ გადაგვიხადა, „კოკა-კოლამ“ ლიდერთა ოთხეული ეკიპირებით უზრუნველყო. ამავე ფირმამ ჩვენს ჩემპიონებს სპორტული ჩანთები, ფორმა და ბურთები დაურიგა, გარდამავალი თასიც მანვე გადმოგვცა.

● ***ბავშვებთან მუშაობა მწვრთნელისგან პედაგოგიური ალღოს გარდა დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს, თქვენი შრომის შედეგი თავისთავად წარმოაჩენს თქვენს ხელოვნებას...***

— პედაგოგიკის საყოველთაო პრინციპები ცნობილია, მთავარი მისი რეალიზაციაა. ვცდილობ ამას მივაღწიო. მოზარდში დამრიგებლის მიმართ შიშის სინდრომი არ უნდა გაჩნდეს, ესაა მთავარი. ცხადია სიყვარულს, ურთიერთპატივისცემას, მეგობრობას, პატრიოტიზმს მოზარდთა აღზრდაში თავისთავად წამყვანი ადგილი უკავია. სპორტი კი შესანიშნავი საამისო საშუალებაა.

● ***დიდი კალათბურთელის პოტენციალს თუ ხედავთ თქვენს შეგირდებში?***

— რომ არ ვხედავდე, დავიხურავდი ქუდს და წავიდოდი, სხვა საქმეს ვეწეოდი. თაობა უდავოდ ნიჭიერი გვეზრდება. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მათგანი მაღალი კლასის სპორტსმენად ჩამოყალიბდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რამდენიმე დიდ მწვერვალებს შეწვდება. მოთამაშეთა სიმაღლე ჩვენი კალათბურთისთვის ოდითგან „აქილევსის ქუსლად“ ითვლებოდა. ახლა აშკარაა, რომ ტანადი კალათბურთელები გვეზრდებიან.

● ***ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ, კმაყოფილი ხართ „კოლხას“ წლევანდელი გამოსვლით?***

— 13 გუნდიდან ჩემპიონატში X ადგილზე დავრჩით. აბა, რომელი მწვრთნელი იტყვის ასეთ შედეგზე მაკმაყოფილებსო. მაგრამ იმ რეზერვით და იმ შესაძლებლობით, რაც „კოლხას“ აქვს, ახლო მომავალში უთუოდ ბევრისათვის ანგარიშგასაწევი გავხდებით. ისე, მომავალ სეზონში უკეთეს შედეგს ვგეგმავთ.

● ***როგორ ფიქრობთ, რით შეიძლება ამაღლდეს ეროვნული ჩემპიონატის დონე?***

— მომავალ სეზონში ათი გუნდი ჩაებმება ჩემპიონატში, რაც ალბათ, გარკვეულწილად, რაღაცას ნიშნავს. ვგულისხმობ იმას, რომ „ვითას“ ჰეგემონია უკვე შეირყა და მომავალში მეტი საფრთხე ემუქრება. „აზოტმა“ მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, რაც სასიკეთოდ გამოადგება ჩემპიონატს. თანაბარი დონის გუნდების მომრავლება — აი, რა არის ნალდი და დაძაბული პაექრობების წინაპირობა. თუმცა, ყველაზე მთავარი პრობლემა — ფინანსები, გადაუჭრელი რჩება. უამისოდ, ცხადია, ჩემპიონატის დონე არ გაუმჯობესდება.

● ***საინტერესოა თქვენი მოსაზრება საქართველოს ნაკრებზე...***

— ვიმეორებ, ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. ვიდრე ნაკრები ევროპის შესარჩევ თუ სხვა ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს, აუცილებელია, მინიმუმ სამი ტურნირი და ორი შეკრება მაინც. ჩვენი ბიჭები კი თამაშზე ისე გამოდიან, პირობების უქონლობის გამო მოთელვაც არ აქვთ ხეირიანად ჩატარებული, ასე რომ, მარტო მწვრთნელებისა და ჩვენი კალათბურთელების დადანაშაულება ჩავარდნაში, არ შეიძლება. პრობლემები თუ მოგვარდება, დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში, ისეთი დონის ნაკრები, როგორიც, ვთქვათ, თურქეთია, ველარ დაგვამარცხებს.

● ***რას პირდებით გულშემატკივრებს?***

— პირობას ვიძლევი, ყოველ ხუთ წელიწადში ჩემი აღზრდილებიდან, მინიმუმ ერთი კალათბურთელი მაინც მივცე საქართველოს ნაკრებს. დევნილობაში მოვედით საბრძოლველად, მაგრამ მოვედით გამარჯვებისთვის.

ესაუბრა
გოგა ლომიძე

## სპორტული ინტეგრაცია — უმტკივნეულოდ!

# გზა მოეჭრება რასიზმს და დისკრიმინაციას...

ჩვენი ქვეყანა ჯერ არაა ევროგაერთიანების წევრი, მაგრამ სემინარზე „ევროპული სპორტი რასიზმის წინააღმდეგ“, რომელიც სტოკჰოლმში ჩატარდა, საქართველოს და უნგრეთის წარმომადგენლები მაინც მიიწვიეს (წევრი არც უნგრეთია). ჩვენგან ერთი წარმომადგენელი ჩავიდა სემინარზე — სეოკ-ის ფედერაციებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი თამაზ თევზაძე, რაც შვედეთის კონფედერაციის გენერალური მდივნის, ევროპის არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების ასოციაციის პრეზიდენტის ბენგტ სეველიუსის დამსახურებაა.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წინა პლანზე წამოიწია ამ შეკრებაზე, იყო ევროპის ქვეყნებიდან სხვა სახელმწიფოებში სპორტსმენთა მიგრაციის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები. თურმე, უცხოელები, იღებენ რა მიწვეული ქვეყნის მოქალაქეობას, ნაკრებში ადგილს ეცილებიან აბორიგენ სპორტსმენებს, რაც მათ სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს და რასისტული გამოხტომებისა და დისკრედიტაციის საბაბს იძლევა.

მიღებულ დოკუმენტში ნათქვამია (თარგმანის სტილი დაცულია):

„ჩვენ, ევროპის არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის, ევროპის ეროვნული სპორტული ორგანიზაციებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა, მხარი დავუჭირეთ სტოკჰოლმში, „ევროპული სპორტი რასიზმის წინააღმდეგ სემინარის სპორტულ პროექტებს“;

— იმის გათვალისწინებით, რომ სპორტი არის სოციალური მნიშვნელობის სფერო, ახალგაზრდა თაობათა ურთიერთობათა გაღრმავების, ისევე როგორც საზოგადოებაში იმიგრანტთა ინტეგრაციის;

— იმის გათვალისწინებით რომ ინტეგრაცია წარმოადგენს ორმხრივ პროცესს ურთიერთპატივისცემის საფუძველზე;

— იმის გაცნობიერებით, რომ რასიზმის წინააღმდეგ, ისევე როგორც ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ბრძოლა უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი მოქმედების მოვლენად;

— სპორტის ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა გაერთიანების ზრდის ხელშესაწყობად სპორტში მათი განსაკუთრებული როლის აღიარებით;

— იმის დაცვით, რომ სპორტში მონაწილეობა ხელშეუხებელი უფლებაა; ყველა პიროვნების რასობრივი თუ ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, სქესის, ასაკის, შრომითი შესაძლებლობის თუ სექსუალური ორიენტაციის განურჩევლად;

— იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის სხვადასხვა ორგანოს — კერძოდ ნებაყოფლობითი ორგანიზაციების, ევროსაბჭოს, ევროკავშირის და სხვათა გამოცდილებით მოხდეს სპორტის მეშვეობით ინტეგრაცია და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა;

— იმის აღიარებით, რომ საჭიროა სრული მხარდაჭერა რასიზმის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის, ქსენოფობიის და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში;

ვიღებთ ვალდებულებებს განვახორციელოთ აღნიშნული ღონისძიებები ყველა დონეზე. განსაკუთრებული ყურადღებით გამახვილებით ადგილობრივ დონეზე. ჩვენი საქმიანობები გაგრძელდება: რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და სპორტში ყველა სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ;

— რასიზმის აღმოსაფხვრელად კულტურათშორისი მზადება, ყველა დონეზე სპორტში განათლების ინტეგრალურ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს;

— იმ ფაქტის აღიარებით, რომ რასიზმი პრობლემატური საკითხია არა მხოლოდ ცალკეული სპორტის სახეობების, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება და ზეგავლენა უნდა მოხდეს სპორტზე, კერძოდ, ახალგაზრდობის სპორტზე, რომელიც საზოგადოებაში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ იქნება მიმართული. ამ კუთხით ხაზი უნდა გაესვას ცნობილი გუნდებისა და სპორტის ვარსკვლავების უდიდეს საპასუხისმგებლო როლს;

— ინიციატივა, სტიმულირება და ხელშეწყობა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სასარგებლო პრაქტიკის და გამოცდილების გავრცელების მიზნით.

1988 წლიდან ევროკავშირის კომისიის და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა შემდგომი კონკრეტული ღონისძიებების მხარდასაჭერად.

— 1998 წლის დამლევს მრგვალი მაგიდის კონფერენციის ორგანიზება არა მარტო ევროკავშირის წევრი ქვეყნების, არამედ ასოცირებული ქვეყნების მონაწილეობითაც. ამ კონფერენციის მზადების პროცესში განსაკუთრებით გაძლიერდება და განმტკიცდება ევროპის სპორტულ ორგანიზაციათა აქტივობა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული მოიცავს ამ საქმიანობაში ადგილობრივ დონეზე აქტიურად ჩაბმულ ეროვნულ სპორტულ ორგანოებს და ორგანიზაციებს;

— სპორტული სამყაროდან, სტატისტიკური, ციფრობრივი თუ ფაქტობრივი მასალების მოპოვება რასიზმის წინააღმდეგ დაკავშირებულ პროექტებზე;

— ამ და სხვა ინფორმაციის გავრცელება რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით სპორტულ სამყაროში, ეროვნულ დონეზე პროექტთა ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეროვნულ და საერთაშორისო ექსპერტებს შორის, ისევე როგორც ფართო საზოგადოებას შორის ინტერნეტის ტექნოლოგიისა და საინფორმაციო ცნობარების მეშვეობით. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მოხდეს ამავე დროს ამ საქმიანობაში საინფორმაციო საშუალებათა ჩართვის მიზნით;

— ბრიუსელში მუდმივი წარმომადგენლობის დაფუძნება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ამ სფეროს, ამავე დროს მჭიდრო კონტაქტს დაამყარებს ვენაში რასიზმზე ევროპულ სამეთვალყურეო ორგანიზაციასა და ბრიუსელში ევროკავშირის დაწესებულებებთან.

## ანტიოლიმპიელი

# ასეთი ზიზღი საიდა(ნ) გუნბა?

**სპორტს მშვიდობის ელჩსაც უწოდებენ, სპორტსმენებს კი მშვიდობის დესპანებს, რომლებიც ხალხთა შორის მეგობრობისა და სიყვარულის იდეალებს სთესავენ მთელს პლანეტაზე. ასე იყო ოდითგანვე — თვით ოლიმპიური თამაშებიც ხომ სისხლისმღვრელი ომების შესაჩერებლად დაამკვიდრეს ბრძენმა ბერძნებმა ანტიკურ ხანაში. „ო, სპორტო, შენ ხარ მშვიდობა!“ წერდა თავის ოდაში, ერთი საუკუნის წინ, ოლიმპიური თამაშების ამაღორძინებელი პიერ დე კუბერტენი.**

**ოლიმპიელი რომ შეგნებით მიდიოდეს მკვლელობაზე, მეტიც, ერთ-ერთი მოთავე იყოს შეიარაღებული ჯგუფისა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით და ცინიზმით უსწორდებოდეს მოსახლეობას, მაგალითს იძლეოდეს ეთნიკურ წმენდაში — ჯერ არსად დაფიქსირებულა. ეს სამწუხარო გამონაკლისიც ჩვენში ხდება — სპორტსმენი, რომელიც დიდხანს იცავდა საქართველოს სპორტულ ღირსებას სხვადასხვა შეჯიბრებაში, რომელიც დედა საქართველომ აღზარდა ოლიმპიელად და 1980 წელს მოსკოვში გამართულ თამაშებში ვერცხლის მედალი მოიგო შუბის ტყორცნაში, დღეს ქართველთა ჯალათად ქცეულა. საიდა გუნბას სპორტული იარაღი სიცოცხლის შემმუსვრელ იარაღზე გაუცვლია, სპორტულ იდეალებს განდგომია და გალის რაიონში, თავისი ბანდის წევრებთან ერთად, უმოწყალოდ ანადგურებს უმწეო ადამიანებს, მათ სახლ-კარს, ყველაფერს, რასაც ძირძველ სამურზაყანოში ქართული ჰქვია.**

**პირდაპირ დაუჯერებელია, ამ ქალის თვალები, რომელიც ერთ დროს სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლის აგიზგიზებას შეჰხაროდა, დღეს როგორ უსწორებს მზერას თანამემამულეთა ალმოდებულ სახლებს, ადრე ოლიმპიურ კვარცხლბეკზე მდგარი, დღეს ასეთმა რა ზიზღმა და სიძულვილმა მიიყვანა ცეცხლითა და მახვილით ზეობამდე, რა დემონმა ჩაუნერგა „პროკრუსტეს სარეცლით“ ტკბობის სურვილი.**

**მაგრამ პროკრუსტეს მიმდევარი ხომ ვერც პროკრუსტეს ხვედრს აიცდენს...**




## ჭადრაკი

### ყოჩაღ, იუდით!

ბუდაპეშტში დამთავრდა მატჩი სწრაფ ჭადრაკში 6 პარტიისაგან მსოფლიო ჩემპიონ (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვსა, რომელიც ამას წინათ 47 წლისა გახდა და „უნგრელ ფენომენად“ წოდებულ, 21 წლის იუდით პოლგარს შორის.

იუდით პოლგარს, რომელმაც, როგორც მოგეხსენებათ, 1993 წელს მატჩი მოუგო (5,5:4,5) მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ბორის სპასკის (თუმცა ეს „კლასიკური ჭადრაკი“ იყო და არა სწრაფი), ამჯერად აშკარა



უპირატესობა ჰქონდა, მოიგო — 2 პარტია, 4 კი ყაიმით დაასრულა. ამრიგად, იუდით პოლგარმა მოიგო მატჩი ანგარიშით 4:2, რაც მის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

### „მატადორები“ მაინის ფრანკფურტში

ჭადრაკის ოთხმა მთავარმა „მატადორმა“: გარი კასპაროვმა, ანატოლი კარპოვმა, ვიშვანათან ანანდმა და ვლადიმირ კრამნიკმა თავი მოიყარა მაინის ფრანკფურტში (გერმანია), სადაც დაიწყო მათ შორის უაღრესად საინტერესო მატჩ-ტურნირი სწრაფ ჭადრაკში. მეტოქეები ერთმანეთს 4-4-ჯერ შეხვდებიან, ამასთან, თითოეული პარტიისათვის მათ მხოლოდ 25-25 წუთი ეძლევათ. ისე რომ, შეხვედრები სანახაობითი თვალსაზრისით ძალიან მიმზიდველია.

ამ მატჩ-ტურნირს ჭადრაკის ისტორიაში პირველად მეტად მაღალი, არნახული 22-ე კატეგორია მიენიჭა. საინტერესოა ისიც, რომ ძველი მეტოქეები კასპაროვი და კარპოვი ერთმანეთს 1994 წლის ლინარესის სუპერტურნირიდან მოყოლებული, აღარ შეხვედრიან.

ისიც საინტერესოა, რომ, მრავალი ექსპერტის აზრით ამ ასპარეზობის მთავარ ფავორიტად არც კასპაროვი ითვლება და არც კარპოვი, არამედ, სწრაფი ჭადრაკის უდიდესი სპესიალისტი ანანდი, რომელიც თავის პარტიებს „კლასიკურ ჭადრაკშიც“ კი ელვისებური ტემპით ატარებს.

### კვლავ კასპაროვ-ტოპალოვი. ძნელი გამარჯვება!

გაიმართა მატჩი სწრაფ ჭადრაკში 4 პარტიისაგან მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვსა და უძლიერეს ბულგარელ დიდოსტატ ვესელინ ტოპალოვს შორის. შედეგი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო — ოთხივე პარტია კასპაროვმა მოიგო — 4-0!

და აი ლეონში (ესპანეთი) იგივე მეტოქეები კიდევ ერთ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად უკვე 6 პარტიისაგან. ისტორიაში პირველად მათ საშუალება ჰქონდათ თამაშში კომპიუტერები გამოეყენებინათ. ამ ექსპერიმენტს ბევრმა მიმომხილველმა უარყოფითი შეფასება მისცა.

პირველი პარტია კასპაროვმა მოიგო, მაგრამ ტოპალოვმა დაუყოვნებლივ გაათანაბრა ანგარიში. მესამე პარტიაში ჩემპიონს უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ტოპალოვი ზუსტად იცავდა თავს და მიაღწია ყაიმს. მეოთხე შეხვედრა კასპაროვმა მეტად ეფექტურად მოიგო, მაგრამ ბულგარელმა მეხუთეში კვლავ გაათანაბრა ანგარიში. მეექვსეში ყაიმი აღინიშნა: 3-3.

გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი 4 პარტიისაგან „ბლიცში“, სადაც თითოეულ მეტოქეს მოსაფიქრებლად სულ 5 წუთი ეძლევა. აქ უკვე უპირატესობა კასპაროვს ჰქონდა, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 2,5:1,5.

## საქართველოს სპორტულ ფედერაციებში

**სამბოს** ფედერაციაში შეშფოთებულნი არიან ეროვნული ნაკრები გუნდის წევრების ვარჯიშებისადმი დამოკიდებულებით. ზოგიერთი საერთოდ აღარ ცხადდება საწვრთნელ მეცადინეობაზე. ერთი მათგანი, ზუგდიდელი ლაშა ფიფია, რომელიც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორია, როგორც დგინდება, რუსეთში გადასულა. ჩვენი რჩეული სამბისტების გულის აცრუების მიზეზი დაპირებების შეუსრულებლობაა. პრემიები, რომლებსაც მათ მაღალი მიღწევებისთვის დაპირდნენ, ან სულ არ მიუღიათ ან ნაწილობრივ აუნაზღაურეს. თუ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს დროულად არ ჩაურიცხავენ, ქართული სპორტის ტალანტებისგან გაძარცვის ტოტალური პროცესია მოსალოდნელი.

* * *

**თანამედროვე ხუთჭიდის** ჩვენმა ოსტატებმა დავით ჭულუხაძემ, ნოდარ ბარავმა და თემურ ბალაკარმა შარშან, საკვალიფიკაციო ტურნირში, მსოფლიო ჩემპიონატში (საფრანგეთი, 28 ივლისი – 2 აგვისტო) მონაწილეობის ლიცენზია მოიპოვეს და, ახლა, როცა ეს ასპარეზობა ახლოვდება, მათ წინაშეც ბარიერად აღიმართა ფინანსური პრობლემა. თუ ამ მიზეზით მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატში ჩაიშალა, სპორტის ეს რაინდული სახეობა, რომელშიაც ოლიმპიურ თამაშებში ბრინჯაოს მედალი 1988 წ. მოიპოვა ვახტანგ იაგორაშვილმა, შეიძლება საერთოდ ჩაკვდეს საქართველოში.

* * *

**ჭიდაობის ფედერაცია** ენერგიულად ემზადება ივლისში ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირების ჩასატარებლად.

– სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მთელი ჩვენი ჭიდაობის სამყარო გვერდში გვიდგას, რათა მაღალორგანიზებულ დონეზე ვუმასპინძლოთ ტურნირებს და დავუბრუნოთ მათ ადრინდელი ავტორიტეტი – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ომზარ შოშიტაშვილმა.*

* * *

**წყალთა სახეობების** ფედერაციიდან გვაცნობეს, რომ გასულ ხუთშაბათს საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდი პარლამენტში მიიწვია ზურაბ ჟვანიამ. ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ გულითადად მიულოცა ნაკრებს რუსეთის ფედერაციის ღია ჩემპიონატში მოპოვებული გამარჯვება და ტურნირებში მიღწეული წარმატებები. პარლამენტის თავმჯდომარემ მხარდაჭერა აღუთქვა გუნდს და აღნიშნა, რომ სწორედ მათ უნდა გააგრძელონ სახელოვანი უფროსი თაობის საამაყო ტრადიციები.

გზა განვლილი და გასავლელი

## ცხოვრებაში ყოველთვის რჩება უსიამოვნო მოგონებები...



**თენგიზ არაბული.** დაიბადა 1938 წლის 15 ივნისს თიანეთის რაიონის სოფ. ნადოკრაში. ყმაწვილობიდან ეზიარა ქართულ ჭიდაობას. 1955 წლიდან ვარჯიშობდა სამბოში, თბილისში, ილია ტლაშაძესთან. 1956 და 1959 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორია, გახდა სპორტის ოსტატი. 1960 წელს არმიელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იკავებს III ადგილს. 1961 წელს სსრ კავშირის ჩემპიონია პირად და გუნდურ პირველობაში. 1955-62 წლებში პარალელურად გამოდიოდა თავისუფალ ჭიდაობაში (გახდა სპორტის ოსტატი), ძიუდოში და ქართულ ჭიდაობაში. ამ სახეობაში იყო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი. ტრავმის გამო შეჯიბრებებში მონაწილეობა შეწყვიტა 1964 წლიდან.

● *1961 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატი სამბოში თბილისში ჩატარდა, ასეთი პატივი მაშინ შემთხვევითი არ იქნებოდა...*

— სამბო უკვე კარგად იყო ფეხმოკიდებული სსრ კავშირში და საქართველო, კერძოდ, თბილისი, ერთ-ერთ დასაყრდენ ცენტრად იქცა. ჩვენებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ შთამბეჭდავი წარმატებები. ძალიან გვეხმარებოდა ქართული ჭიდაობის ილეთები. თანაც საქართველოს ნაკრები მანამდე ოთხჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი. სამწუხაროდ, იმ წელს თბილისში მოპოვებული ჩემპიონობა ბოლო აღმოჩნდა, ვიდრე 1997 წელს უფრო მაღალ საფეხურზე არ ავედით. როგორც გულშემატკივრებმა იციან, შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ჩვენი გუნდი.

● *1961 წლის ჩვენი გუნდის შემადგენლობას ხომ არ გაიხსენებდით?*

— დიდი სიამოვნებით ჩამოგითვლით: ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი, პალიკო მარიამული, ლავრენტი კაციაშვილი, ფირუზ მარტყოფლიშვილი, გურამ სიმონიშვილი, ბოღდან ბალაკაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, ვაჟა ქევხიშვილი და მე (მაპატიონ, შეიძლება ყველა ვერ გავიხსენე).

● *სამბოდან ძიუდოში გადანაცვლება ჩვენში ამ იაპონური ჭიდაობის დანერგვისთანავე დაიწყო. თითქმის მზა ათლეტები, ძალიან სწრაფად აღწევდნენ ძიუდოში წარმატებას. თქვენც ვერ გაუძელით ცდუნებას?*

— მაგრამ ჩემთვის ეს ნაბიჯი საბედისწერო გამოდგა. ევროპის ჩემპიონატისთვის მოსკოვში ვემზადებოდი სსრ კავშირის ნაკრებში და ვარჯიშზე მარჯვენა ფეხის სამი მყესი გამიწყდა. ეგ იყო, მანამდე რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა მოვიგე.

● *და მერე მწვრთნელობას მიჰყავით ხელი...*

— დიახ, „სპარტაკში" დავიწყე მუშაობა უფროს მწვრთნელად ძიუდოში და შევუდექი ამ სახეობის დანერგვას.

● *ალბათ წარმატებებიც გქონდათ...*

— რა თქმა უნდა.

● *ბავშვებთან მუშაობით დაიწყეთ?*

— დიახ.

● *ვინ გაითქვა სახელი სპარტაკელებიდან?*

— რამაზ ხარშილაძემ, დილარ ხაბულიანმა, ოლეგ ზურაბიანმა, ნოდარ მანველიშვილმა და სხვებმა. ზურაბიანი მონრეალში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. 1975 წელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გავხდი.

● *თქვენ ხომ „ლოკომოტივშიც" მოღვაწეობდით...*

— „სპარტაკიდან" გადავედი. იქაც კარგი გუნდი გვყავდა.

● *თქვენი ვაჟიც ლოკომოტიველი იყო, რა წარმატებები ჰქონდა?*

— სპორტის ოსტატია სამბოსა და ძიუდოში, მოგებული აქვს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა სამბოში, პროფკავშირების პირველობა ძიუდოში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მოპოვებული აქვს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები სამბოში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია სამბოსა და ძიუდოში.

● *კარგა ხანია, სამბოს ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივნად მუშაობთ, ვიცით თქვენი პრობლემები, მაგრამ თქვენ მეტი იცით...*

— ძირითადი პრობლემა უსახსრობაა, თუ ასე გაგრძელდა, სამბო ჩვენში უაღრესად გაღარიბდება. სხვა სახეობებიც ჩვენნაირ გასაჭირშია.

● *ამ დღეებში 60 წელი შეგისრულდათ. წლების გადასახედიდან კმაყოფილი ხართ განვლილი გზით?*

— ცხოვრებაში ყოველთვის რჩება უსიამოვნო მოგონებები. ჩემში მწარე მოგონებად დარჩა ტრავმა და შინაური თუ რუსეთის მსაჯების არაობიექტურობა. ამ მიზეზთა გამო ვერ შევძელი დიდი ოცნებებისთვის ფრთები შემესხა.

ესაუბრა **თ. თომაშვილი**



*ბაქო. 1961 წ. ამიერკავკასიის არმიელთა ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა თენგიზ არაბული.*

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | ვეტერანთა I მსოფლიო ჩემპიონატი

## მსოფლიოში მეოთხე, პირველი საქართველოდან...

***სპორტის ცალკეულ სახეობებში ვეტერანთა მსოფლიოს პირველობების ჩატარება ტრადიციად დამკვიდრდა, ამ სახეობათა რიცხვს კი ამიერიდან ბერძნულ-რომაული ჭიდაობაც შეემატება, რომელშიაც ივნისის პირველ ნახევარში ქ. პერმში, ფილას ეგიდით პირველად გაიმართა ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი.***

ომარ მელაშვილი – საქართველოს მრავალგზისა და საკავშირო პირველობების ჩემპიონი (ჭაბუკებში) და პრიზიორი, პროფკავშირების პირველობის გამარჯვებული, 1979 წელს გამოეთხოვა ხალიჩას და მაშინ უკვე 34 წლის ვეტერანი რას იფიქრებდა, ჭაბუკობისდროინდელი ოცნება – გამოსულიყო მსოფლიოს არენაზე, სარბიელიდან წასვლის დღიდან 20 წლის შემდეგ, უკვე 56 წლის ასაკში თუ აუსრულდებოდა. ზემოხსენებულ ვეტერანთა ჩემპიონატში ომარ მელაშვილი ერთადერთი მონაწილე იყო საქართველოდან.




– ძალიან მწყდება გული, რომ ფინალში ვერ გავედი, არადა, კარგი შანსი მქონდა. თავიდან ზედიზედ მოვიგე სამი შეხვედრა, ის გადამწყვეტი შერკინება კი სვერდლოვსკელ პეტროვთან წავაგე, თუმცა ბოლო წუთამდე 2:0 ვიგებდი. სამწუხაროდ, ვერ მოვიგე III ადგილისთვის შეხვედრაც და IV ადგილზე დავრჩი 22 მონაწილეს შორის – გვითხრა რედაქციაში სტუმრობისას ომარ მელაშვილმა.

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თხოვნით, ვეტერანი მოჭიდავე გლდანის გამგეობას (გამგებელი სოსო ვაშაკიძე) დაუფინანსებია, რაც უდავოდ მისასალმებელია.

სხვათა შორის, თვით ჩემპიონატიც მხოლოდ სპონსორთა ხარჯზე ჩატარებულა – 30-მდე ცნობილ ფირმას დაუფინანსებია. ცალკე სპონსორი ჰყოლია საინფორმაციო სამსახურს. გამარჯვებულები და პრიზიორები, გარდა საჩუქრებისა, სოლიდური თანხითაც დაუჯილდოებიათ.

**მიხეილ წუწუნავა**

## გივი ჩოხელის ტრადიციულ მემორიალზე სტუმრებსაც მოელიან

დღეს, თბილისში, „ქარიშხალას" სპორტულ კომპლექსში დაიწყება სახელოვანი ქართველი ფეხბურთელისა და ღირსეული მოქალაქის, პოლიციის პოლკოვნიკ გივი ჩოხელის სახელობის ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში. კვირის განმავლობაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან შსს ნაკრების, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს, ხანძარსაწინააღმდეგო დეპარტამენტის, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის, შსს აკადემიის, უშიშროების სამინისტროს აკადემიის, უნივერსიტეტ „აჭარის", თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა, სომხეთისა და აზერბაიჯანის შს სამინისტროების გუნდები. ტურნირის ორგანიზატორებია შსს აკადემია და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.

## «ლელოს» ფოტომატიანე




## ბათუმი, 1965 წელი...

ეს ფოტო 1965 წელსაა გადაღებული ბათუმში. ქართული გენის ორმა სახელოვანმა მატარებელმა, ნონა გაფრინდაშვილმა და ომარ ფხაკაძემ, იმ წელს მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს — ნონამ მეორედ დაიდგა ჭადრაკში მსოფლიო დედოფლის გვირგვინი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ველომრბოლი ომარ ფხაკაძე კი, საბჭოთა სპორტის ისტორიაში, პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა სპრინტში და უმოწყალოდ გააცამტვერა ფრანგი და იტალიელი მრბოლების ჰეგემონია. ეს იყო იმ ჩემპიონატის №1 სენსაცია.

ჩვენი გაზეთი სათაურით **„ნონა და ომარი ბათუმში"** წერდა: „ბათუმში სწრაფად გავარდა ხმა, კვირას აჭარის დედაქალაქს მსოფლიოს ჩემპიონები ნ. გაფრინდაშვილი და ო. ფხაკაძე ეწვევიანო. დილით ადრე სპორტის გულშემატკივრები ფეხზე იყვნენ. სადგურზე ტევა არ იყო. ყველგან ცოცხალი ყვავილების თაიგულები ჩანდა.

... და აი, პირამდე სავსე სტადიონის სარბენ ბილიკზე შემოდის ღია ავტომანქანა, რომელშიც ფეხზე დგანან ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები. მანქანა რამდენიმე წრეს უვლის სტადიონს.

...ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ნ. გაფრინდაშვილი და ო. ფხაკაძე ბათუმის საპატიო მოქალაქეებად აირჩიეს"... („ლელო" №226, 1965 წ.)

*ფოტო „ლელოს" არქივიდან, ქვეყნდება პირველად.*

### პრეზიდენტის გატაცება



# საიდან, კირსან, ამდენი?

ამ დღეებში ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებში აუცილებლად იყრის კენჭს.

კირსან ილიუმჟინოვი დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. მარტო 1997 წელში მისი პირადი ფონდი დაუდგენელი წარმომავლობის 19 მილიონი დოლარით შეივსო. წლეულს კი, სულ რამდენიმე თვეში, მისი ჯიბე კიდევ 5 მილიონი დოლარით დამძიმდა. ილიუმჟინოვის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ მისი პირადი ფონდის ოდენობა არავის შეუმოწმებია და არც მილიონერს შეუწუხებია თავი საგადასახადო ინსპექციაში შემოსავლების დეკლარაციის წარდგენით.




**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.




— სულ ფეხბურთი... წნევის წამალი თუ დალიე?
— ქაა ჩემი წამალი, თავი დამანებე!

ა. ბოთოიძის ნახატი

# კროსვორდის მაგიერ

ჩვენი გაზეთის ახალმა ციკლმა „კროსვორდის მაგიერ" მკითხველთა და ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დღეს წარმოგიდგენთ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის ძირითად შემადგენლობას. ამოიცანით გუნდი და ფეხბურთელები. პასუხი წარმოადგინეთ „ლელოს" რედაქციაში, ან დარეკეთ ტელეფონებზე 99-81-71, 99-56-14. გამარჯვებულის ვინაობა გაზეთში გამოქვეყნდება.

**„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე ყველა ფეხბურთელი ამოიცნო და ამის შესახებ რედაქციაში პირველმა გვაცნობა ავთანდილ სარალიძემ (რუსთავი).**


1


2


3


4


5


6


7


8


9


10


11

# სხვადასხვა მერიდიანზე

**ჰოკეი** • ნჰლ-ში დასრულდა „სტენლის თასის" გათამაშების ფინალური შეხვედრა. „დეტროიტ რედ ვინგზმა" 4-1 სძლია „ვაშინგტონ კაპიტალზს". სერიაში ანგარიში 4-0 გახდა და დეტროიტელები ზედიზედ მეორედ დაეუფლნენ თასს.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის შემდეგ „სტენლის თასით" ხელში მოედანს შემოატარეს შარშან ავტოავარიაში მოყოლილი 1996-97 წლების „სტენლის თასის" გამარჯვებული, რუსი ჰოკეისტი კონსტანტინოვი.

**ჩოგბურთი** • ინგლისში უიმბლდონის წინასწარ ტურნირში – „Direct line insurance Championshap" – რუსმა კურნიკოვამ 1/4 ფინალში მოუგო უიმბლდონის ტურნირის შვიდგზის ჩემპიონს, გერმანელ შტეფი გრაფს. თავი ისახელა ბელარუსმა ქალმა ზვერევამაც. მან ესპანელ სერნას სძლია.

**გოლფი** • აშშ-ში დაიწყო U.S.open-ის ცნობილი ტურნირი, სადაც საუკეთესო მოთამაშეებმა მოიყარეს თავი. აქ მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი გოლფისტები: თაიგერ ვუდსი, პეინ სტიუარტი, ხოსე მარია ოლასაბალი და სხვები:

მოამზადა
გია ახალაძემ

# ტრაგედია თბილისის ზღვაზე

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართვა მათდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი, სადაც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ასე მრავლადაა მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, შავი ზღვა ასეული კილომეტრების სანაპირო ზოლით, ცურვის მასობრივი შესწავლა უყურადღებოდაა, რაც ხშირად ტრაგიკული შედეგებით მთავრდება.

ერთი უბედური შემთხვევა ამ დღეებში მოხდა თბილისის ზღვაზე, სადაც ქალაქიდან თანატოლებთან ერთად საცურაოდ ასული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ირაკლი ბოსიკაშვილი, ცურვის უცოდინარობის გამო წყლის მსხვერპლი გახდა.

ამ ტრაგედიამ კიდევ ერთ ფაქტზე დაგვაფიქრა — ნუთუ სამაშველო რაზმების გარეშეა დარჩენილი თბილისის ზღვა, სხვა საცურაო ადგილები? დავფიქრდეთ, თაკარა, ცხელი ზაფხული ხომ ჯერ წინაა.

**საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია და საქართველოს განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის სახეობათა სპორტული სკოლა იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა, სპორტული აკრობატიკის ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრი**

**ირაკლი ბოსიკაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## საჭადრაკო ამოცანა

მ. შნეიდერი (რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
1. e6! მფa5 2. e7 a6!
3. e8ე! მფa4 4. ეe1 მფa3
5. ეa1X.




**20 ივნისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მეორე ტაიმების გამეორება: ნიგერია-ბულგარეთი (12.40), ესპანეთი – პარაგვაი (14.05). ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, ОРТ-1, РТР,*** იაპონია – ხორვატია (16.20), ბელგია – მექსიკა (19.20), ჰოლანდია – სამხ. კორეა (22.50), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (18.10) ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი" მსოფლიო ჩეპიონატზე (1.10). ***НТВ плюс спорт.*** ფეხბურთი (9.40; 9.55; 15.15; 16.25; 19.15; 21.50; 0.50). ნჰლ-ის მიმოხილვა (10.15). საცხენოსნო სპორტი (11.00). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (13.00). ფიგურული ციგურაობა (15.30). დიდი რინგი (20.35). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 11.30; 13.00; 19.00; 19.20; 21.30; 22.30; 1.00; 3.00)

**21 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მეორე ტაიმების გამეორება: იაპონია-ხორვატია (11.15); (13.00); ჰოლანდია – სამხ. კორეა (14.10). ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, ОРТ-1, РТР.*** გერმანია – იუგოსლავია (16.20); არგენტინა-იამაიკა (19.20); აშშ-ირანი (22.50); ***რუსთავი 2*** სპორტული პროგრამა (20.30); ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (18.40). ***ОРТ-1.*** „პარიზული ტაიმები". (2.10). ***РТР.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი: „სპარტაკი" – „როტორი" (21.45). ***НТВ плюс спорт.*** ფეხბურთი (9.55; 18.45; 20.20). ჰოკეი. სტენლის თასზე (12.30). საჭადრაკო მიმოხილვა (15.45). ნბა-ს მიმოხილვა (16.15); ცურვა ( 16.55). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 11.30; 13.00; 19.00; 19.20; 21.30; 22.30; 3.00). ჩოგბურთი (16.00). ველორბოლა. შვეიცარიის ტური (18.30). კარტინგი (1.00).

**22 ივნისი, ორშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების მეორე ტაიმების განმეორება: გერმანია – იუგოსლავია (10.45); არგენტინა – იამაიკა (12.15); აშშ – ირანი (15.15). ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, ОРТ-1, РТР.*** კოლუმბია – ტუნისი (19.20); რუმინეთი – ინგლისი (22.50). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი" მსოფლიო ჩემპიონატზე (1.10). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.30;. 14.30) საჭადრაკო მიმოხილვა (8.10). ფეხბურთი (8.40; 10.15). კრივი (9.00). ჩოგბურთი (14.55). ცურვა (0.10). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 14.00; 15.00; 16.30; 17.30; 17.50; 19.00, 21.30; 22.00; 22.30; 1.00; 3.00). ველოსპორტი (18.00). კრივი (0.00).

**23 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი. I არხი, II არხი, TV-7, იბერია, საქართველოს ხმა, ОРТ, РТР.*** ჩილე – კამერუნი; ავსტრია – იტალია (18.00); ბრაზილია – ნორვეგია; შოტლანდია – მაროკო (23.00); ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.05; 14.30). ფეხბურთი (7.45; 11.40). კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (8.05). საჭადრაკო მიმოხილვა (13.05). კრივი (13.35). ჩოგბურთი (9.50; 14.55). გოლფი (0.10). დიდი რინგი (0.40). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00, 9.30; 10.00; 10.30; 15.00; 17.30; 17.50; 20.00; 22.00; 22.50; 1.00; 3.00). ველორბოლა (16.30).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე